

მედეა

№8 ივნისი 2015



Куда თბილისი, პრეზიდენტის სასახლე

КОМУ ბატონ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს


ОТ КОГО კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი “ურუსვატი”

ხელმძღვანელი ბ-ნ თ.თავაძე

ISSN 1512-2794



9771512279000



მედიეა



№8 2015 წ.

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი
ასტროლოგიის ინსტიტუტი, ცეცხლოვან ცენტრთა
ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი
“ გ უ ლ ი ”

ლამაზად შეილის გამზრდელი დედა მიცვნია დმერთადა!

ვაჟა-ფშაველა

სარჩევნი

- | | | | |
|---|----|--|----|
| 1. მკითხველს | 3 | 9. მომავალი საზოგადოებრივი ცნობიერების ფუნდამენტალური საფუძვლები ... | 32 |
| 2. სიბრძნე სოლომონისა | 6 | 10. ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს | 38 |
| 3. ფილოსოფიურ აზრთა მარგალიტების კონა. ფრენსის ბეკონის გამონათქვამები | 8 | 11. ქალი | 43 |
| 4. ბორცსა სძლია კეთილმან... .. | 9 | 12. ექიმის, პავლე კანკავას წერილი | 48 |
| 5. საქართველო მისტერიათა და პოლიტიკურ სისტემათა ასპარეზია... .. | 13 | 13. სიბრძნის კონა | 49 |
| 6. პლატონი | 14 | 14. სულის ძახილი | 52 |
| 7. ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია | 19 | 15. ილია ჭავჭავაძე: ბუნებური მოვლენა, ღვთის წყრომა და აუხილველი თვალი გონებისა | 55 |
| 8. უკვდავება | 26 | | |

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე
ლიზინი ზაქარია ტატინაშვილისა

www.agniyoga-ge.com
Email: tpt3839@mail.ru

გამარჯვება, VICTORY, ПОБЕДА, NETZACH!

საკუთარ თავზე გამარჯვების შვიდი იარაღი:

1. „ხელების სისუფთავე“ – არ აიღო არაფერი ზედმეტი. არც სხვისი არ აიღო, რადგან, მაგალითად, თუ ფული სხვისთვის იყო გათვალისწინებული და თქვენ მოტყუებით ან ეშმაკობით დაეუფლეთ მას, ისინი თქვენს სხეულში და თქვენს ცხოვრებაში პარაზიტებისა და სხვა საშიშ მოვლენათა მიზეზებად გარდაიქცევიან. ასევე არ უნდა დაივიწყოთ თქვენი შემოსავლის გარკვეული ნაწილის გაღება მათთვის, ვინც მასში საჭიროებას განიცდის.

2. „ყურების სიწმინდე“ – არ მოუსმინო შეშინებულებს, დაბოღმილებს, მოუსვენარებსა და აწრიალებულებს, – ასევე დაიცავით თქვენი ყურები ბილწსიტყვაობისაგან, ჭორისა და ფუჭი საუბრებისაგან.

3. „თვალთა სიწმინდე“ – ნუ დაიბინძურებთ თვალთახედვას შურითა და იმის შეძენის სურვილით, რაც თქვენს ახლობელს გააჩნია, ნუ დაიბინძურებთ საკუთარ თვალებს ძალადობისა და სისასტიკის სცენებით. გეჭიროთ თვალი მხოლოდ სისუფთავეში სამყაროს სრულყოფილებისა და მისი ნაირფეროვნების სილამაზეთა ჭვრეტით.

4. „პირის სისუფთავე.“ – დაიცავი საკუთარი პირი ზედმეტი სიტყვებისა და ბილწსიტყვაობისაგან. გახსოვდეთ – ღუმელი ოქროა.

5. „სხეულისა და სამოსელის სისუფთავე“ – შეინახეთ სხეული და სამოსელი სისუფთავეში. ამიტომ ყურადღება მიაქციეთ თქვენს გარეგნობას.

6. „აზრების სიწმინდე“ – ამოიღეთ საკუთარი თავიდან ნეგატიური აზრები და

ბოროტი ზრახვები. ეს ასევე იმასაც ნიშნავს, რომ არასოდეს არ შეიცოდოთ საკუთარი თავი. რისთვის უნდა შეგეცოდოს საკუთარი თავი? უმჯობესი არაა გაამხნევო საკუთარი თავი კეთილი და ნათელი წამოწყებებითა და საქმიანობით?!

7. „გულისა და სულის სიწმინდე“ – შეინახო და დაიცვა საკუთარი სულიერი მისწრაფებანი და წადილი და არ გააბათილო ისინი იგნორირებით. თქვენი სული ეს ყველაზე წმინდა და ნათელი კუთვნილებაა ყოველივე იმისაგან, რაც თუ რამ გაგაჩნიათ თქვენ და აი ამიტომ ნუ დაუშვებთ თქვენგანვე მათ იგნორირებას. თქვენი სული, – ეს ყველაზე წმინდა და სუფთა კუთვნილებაა თქვენი, ამიტომ არ დაუშვათ მათი მოწოდებებისა და ძახილის იგნორირება. თუ თქვენ, თქვენს ცხოვრებაში სულის კარნახით იარსებებთ, მაშინ ყველაზე ბედნიერი გზით ივლით ამ ცხოვრებაში.

ვიყვარდეთ და ნურაფერს ითხოვთ სანაცვლოდ.

სიყვარული თავისთავადაა ყველაზე დიდი ბედნიერება!!!

განკითხვა

ვიდრე განიკითხავთ, ვერც თქვენ ვითარდებით და ვერც იზრდებით კიდევ. განკითხვა ნიშნავს გაყინულ გონებას. გონება კი ყოველთვის ითხოვს მსჯელობას იმიტომ, რომ მუდმივ განვითარების პროცესშია, რადგან მოუწყობელი და რისკიანი ცხოვრებით ცხოვრობს. სინამდვილეში მოგზაურობა სიცოცხლეში არასოდეს არ დასრულდება. ერთი ნაწილი სიცოცხლისა მთავრდება და მისი მეორე ნაწილი მაშინვე იწყება, ერთი კარები იკეტება და მეორე კი იქვე იღება. თქვენ აღწევთ მწვერვალს, მაგრამ იქვე ხედავთ შემდეგ, უფრო მშვენიერსა და მაღალ მწვერვალს. სიცოცხლე უსასრულო მოგზაურობაა და აი ამაშია მისი სილამაზე და ბედნიერი შინაარსი.

მიმართვა მკითხველს

ეს *მელეას* მორიგი ნომერია. ჩვენ არ ვვალდებოდით საქართველოს ამ წმინდა სახელს, რომელმაც თავისი მისტიური შინაარსით, ერის კულტურისა და სიბრძნის, ჩვენი ისტორიის სათავე აღნიშნა და ოქროს საწმისის ქვეყნის ისტორიული მადლი და ღირსება დღემდე შემოგვინახა.

ტრადიციისამებრ ამ ნომერშიც ვრცელი თემატიკაა წარმოდგენილი იმისათვის, რომ ადამიანს ერთხელ და სამუდამოდ მოსცილდეს პროფესიონალიზმის ერთფეროვანი სათვალეები. ერთფეროვან სათვალეებში მოექცა დღეს კაცობრიობა და სიტყვა „განათლება“, მისი უკიდურესო შინაარსი, ანუ სიბრძნის ნათელი, ჩანაცვლა პროფესიულად ორიენტირებულმა ცოდნამ (ეკონომისტი, იურისტი და სხვა მსგავსი მრავალი „ისტი“) და ისიც ისეთი კატეგორიული პრეტენზიით, რომ ადამიანები ხიბლში მოექცნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა განათლებას წინ *„უმაღლესი“* (უმაღლესი განათლება) ამშვენებს. ძალზედ სერიოზული ხარვეზია ის, რომ თანამედროვე განათლება მხოლოდ პროფესიულია და არა ის ვრცელი „განათლება“, რომელშიდაც იგულისხმებოდა ფილოსოფიის ფუნდამენტზე დაფუძნებული ცოდნათა *კომპენდიუმი**. ეს შეცდომა *„ტკბილად“* ჟღერს სულაც ერთადერთი სიტყვის, – *„უმაღლესი“*-ს გამო. არა და ძველი დროის განათლებას, არანაირად არ სჭირდებოდა ეს დანამატი, რადგან ყოველ პროფესიულ ცოდნას, როგორც უკვე ვთქვით, თანახლდა ფილოსოფიის ფუნდამენტალური ცოდნა, ან მისი გაცნობიერება მაინც...

ზუსტად თვალსაწიერის გაზრდას ეხმარება მსოფლიო კულტურის შესწავლა და ამ მიზანს დღიდან დაარსებისა ემსახურება ჩვენი „მელეა“. მან, *მელეამ*, ძველი საბერძნეთი განანათლა *აიეტის*, *მზის შეილის* მისტიური ცოდნით და დღესაც, მისი „ოქროს საწმისი“ ჩვენს *კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრში* წარმოადგენს იმ უძვირფასეს თვალმარგალიტს, რომლის მადლითაც ჩვენ დავამარცხეთ ყველა წარმოდგენილი სწეულება და ვემსახურებით კაცობრიობის ჯანმრთელობის, დღეგრძელობისა და გაახალგაზრდავების პრობლემების გადაწყვეტას.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამით გადაწყდება მსოფლიო ცივილიზაციის, ანუ „ბოლოჟამის“ 2012 წლის შემდეგ, კაცობრიობის დროისა და სივრცეში ევოლუციის გაგრძელების პრობლემები. ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოწესრიგდეს ადამიანის სულიერი და ზნეობრივი პრობლემები.

ჩვენ ამ საკითხებსაც ვეხებით ჩვენი *კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრის* საქმიანობაში და ვხელმძღვანელობთ რა ამ მიმართულებით როგორც მსოფლიო კულტურის საგანძურით, ასევე ეროვნული კულტურული ფენომენითაც (ამ შემთხვევაში, ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ საკაცობრიოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა *მთვალეობა* და *უფლება*, და არა დღევანდელი უფლება თუნდაც ისე განვითარებული იდეა, რომელიც დღეს მუშაობს მსოფლიოში და რომელიც ასე პირნათლად ადასრულებს

* კრებული

მასებში უფლებათა იდეის დამკვიდრებას), ჩვენ ვსაუბრობთ არა არსებულ უფლებებზე, არამედ მომდევნე, უკვე ევოლუციურად მისივე იდეალურ ტყუპისცალზე, რომელიც წარმოადგენს იმ ერთადერთ უფლებას



რომლისთვისაც არის გაჩენილი ადამიანი.

რამდენადაც ეს გასაკვირი არ უნდა იყვეს, აი ამ ორივე იდეის ავტორია საქართველო და მისი სულმნათი წმინდანი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქვეყნის თვითმმართველობის შესახებ წინასწარმეტყველებს.

აი ის თვალმარგალიტი იმ ფილოსოფიისა, რომელიც მას მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს განმანათლებელ ფილოსოფოსთა რანგში აყენებს, რამეთუ მან ერთი საუკუნის წინ განჭვრიტა XXI საუკუნისათვის ფუნდამენტალური ისეთი იდეები, რომელთა გარეშე XXI საუკუნე უბრალოდ ვერ შესდგებოდა როგორც ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რადგან მას, მისი არსებითად უმნიშვნელფანესი შინაარსი, – უფლება და მოვალეობა დააკლდებოდა:

“ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა

მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შევლის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი

უფლება და მოვალეობა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, აიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესეიგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა.

ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება...”

გვინდა ილიას ამ თვალმარგალიტი იდეის აღიარება, ზუსტად იმ საუკუნის აღიარებით დაგადასტუროთ, რომლისთვისაც, თურმე გაუქმდებოდა მას ეს საკაცობრიო იდეა

და ეს აღიარება მოხდა, არც მეტი და არც ნაკლები, მსოფლიოს უდიდეს საკაცობრიო ორგანიზაციის – გაეროს უწყებაში, – იუნესკოში. იუნესკოს კურატორმა, ბატონმა ვლადიმერ ლომეიკომ, საქართველოს პარლამენტს, „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის“ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი წერილი გამოუგზავნა, რომელსაც ამ ნომრის გვერდებზე ვაქვეყნებთ. მაგრამ ჩვენ არ გაფრეხებულვართ ჩვენს შემოქმედებაში და ილიას მეორე იდეაც შევიმუშავეთ და შევექმენით „XXI საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“

ვითვალისწინებთ რა ისტორიულ და პოლიტიკურ იმ რეალობას, რომ ყოველ ქვეყანას ყოველთვის მართავენ საერო და სასულიერო ხელისუფალნი, ჩვენ ამ ჟურნალში, ამ ღია წერილის მეშვეობით მივმართავთ როგორც სასულიერო, ასე საერო ხელისუფლებას:

– უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, ილია II-ს;

– საქართველოს პრეზიდენტს, მის უდიდებულესობას, ბატონ გიორგი მარგველაშვილს!

დღევანდელი მსოფლიო კრიზისი, წმინდა ილია მართლის მოვალეობებისა და უფლებების დეკლარაციების უქონლობითაა გამოწვეული და მათ გარეშე, მსოფლიოს, უკვე როგორც საკაცობრიო დიდ და ერთიან ოჯახს, არსებული ქაოსიდან გამოსვლა არ უწერია.

მიგვაჩნია, რომ იუნესკო-ს მიერ ამ უმნიშვნელოვანესი იდეის მიღება ნიშნავს იმას, რომ შემოთავაზებული, უკვე ხორცშესხმული და დეკლარირებული, წმინდა ილია ჭავჭავაძის ორივე იდეა, ფაქტობრივად აღიარებულია მსოფლიოში, ზემოთხსენებულ ერთ-ერთ უმაღლეს მსოფლიო ინსტანციაში – იუნესკოში.

ამ საკითხების აღძვრა გამოიწვევს იმ აუცილებელ და გარდაუვალ შეხვედრებს, როგორც გაეროს, იუნესკოს თუ სხვა საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერთა შეხვედრებს, ასე მსოფლიო რელიგიების კონფესიათა ლიდერების შეხვედრებს, რელიგიათა და კონფესიათა შორის ტოლერანტულ დამოკიდებულებათა დეკლარაციის მისაღებად, რაც ასე გარდაუვალად ესაჭიროება მსოფლიოს.

თ.თავაძე



სიბრძნე სოლომონისა

მთის მწვერვალზე მზის ამოსვლის დასწრებით გაცისკრონებული მეფე სოლომონი მთის პირში შეკრებულებს გადაეყარა, რომლებმაც ასე მიმართეს მას:

შენ შთაგონების წყარო ხარ ჩვენთვის. შენი სიტყვები გარდაქმნიან ჩვენს გულებს. შენი სიბრძნე განანათლებს ჩვენს გონებას. ჩვენ გვწყურიან მოსმენა შენი სიტყვებისა.

გვითხარი, - ვინა ვართ ჩვენ?

მან გაიღიმა და სთქვა:

თქვენ - სინათლე ხართ ამაქვეყნისა. თქვენ ხართ ვარსკვლავნი. თქვენ ჭეშმარიტების ტაძარი ხართ. ყოველ თქვენთაგანში - სამყაროა. ჩაძირეთ გონება თქვენსავე გულში, შეეკითხეთ საკუთარ გულს და პასუხი საკუთარი სიყვარულით მოისმინეთ. ნეტარ არიან ღმრთის ენის მცოდნენი.

რა შია სიცოცხლის შინაარსი?

სიცოცხლე - ესაა გზა, მიზანი და ჯილდო. სიცოცხლე - სიყვარულის ცეკვაა. თქვენი დანიშნულება - აყვავებაა. ძელ - ეს დიდი ნობათია სამყაროსათვის. თქვენი სიცოცხლე სამყაროს მატიაწეა. აი ამიტომაც რომ სიცოცხლე ყოველ თეორიაზე უფრო მშვენიერია. მოეკიდეთ ცხოვრებას, როგორც ზეიმს, რამეთუ

ცხოვრება თავისთავად ფასეულობაა. ცხოვრება მყოლობია.

რატომაც რომ უბედურებანი მოგვდევენ კვალად?

რასაც სთესო, მასვე იმკით. უბედურებანი - თქვენი არჩევანია. სიღარიბე - ადამიანის ქმნილებაა, სიმწარე კი - უმეცრების ნაყოფი. სხვათა გამტყუნებით კარგავთ ძალას, და ჟინის გამო კი - განაბნევთ ბედნიერებას. გამოიღვიძეთ, რამეთუ უპოვარია ის, ვინც საკუთარ თავს ვერ აცნობიერებს. და რომელნიც საკუთარ თავში ღვთის სასუფეველს ვერ პოულობსენ, უსახლკარონი არიან. სიღატაკე თავს დაატყდება იმას, ვინც უქმათ კარგავს დროს. ნუ გადააქცევთ ცხოვრებას უსაქმურობად. ნუ დაუშვებთ რომ ბრბომ დაღუპოს თქვენი სული. დაე არ გახდეს სიმდიდრე თქვენი, თქვენივე უბედურების მიზეზი.

როგორ დავძლიოთ უბედურობანი?

ნუ გააკიცხავთ საკუთარ თავს. რამეთუ თქვენ ღვთისნიერები ხართ. ნუ ადრით და ნუ პყოფთ. ყველაფერზე იყავით მადლიერი. გიხაროდენ, რამეთუ სინარული სასწაულმოქმედია. გიყვარდეთ საკუთარი თავი, რამეთუ საკუთარი თავის მოყვარულს, ყველაფერი უყვარს. დალოცეთ ფათერაკები,

რადგან უშიშარნი ნეტარებას შეიძენენ. ილოცეთ სიხარულში - და უბედურებანი აგივლიან გვერდს. ილოცეთ, მხოლოდ ნუ ევაჭრებით უფალს. და იცოდეთ, *ხოტბა - საუკეთესო ღოცვაა, და ბედნიერება კი სულის საუკეთესო საკვები.*

როგორია გზა ბედნიერებისაკენ?

ბედნიერნი არიან მოსიყვარულენი, ბედნიერნი არიან მადლიერნი, ბედნიერნი არიან დამშვიდებულნი, ბედნიერნი არიან ვინც სამოთხე საკუთარ თავში იპოვა, ბედნიერნი არიან სიხარულით გამღებნი და ნობათების სიხარულით მიმღებნი.

ბედნიერნი არიან მაძიებელნი, ბედნიერნი არიან გამოღვიძებულნი, ბედნიერნი არიან ღვთის სიტყვის მომსმენნი, ბედნიერნი არიან საკუთარი ხვედრის აღმსრულებელნი, ბედნიერნი არიან ერთიანობას წვდომილნი, ბედნიერნი არიან, ვინც ღმრთის ჭვრეტის გემო იგემეს. ბედნიერნი არიან ჰარმონიაში მყოფნი. ბედნიერნი არიან ვინც რომ ამასოფლის სილამაზე იხილა. ბედნიერნი არიან ვინც მზეს გაუხსნა საკუთარი გული. ბედნიერნი არიან, რომელნიც მდინარესავით მიედინებიან. ბედნიერნი არიან ბედნიერების მისაღებად მზადმყოფნი. ბედნიერნი არიან ბრძენნი. ბედნიერნი არიან ისინი, ვინც საკუთარი თავი გაიცნობიერა. ბედნიერნი არიან ვინც საკუთარი თავი შეიყვარა. ბედნიერნი არიან სიცოცხლის მაღიდებელნი. ბედნიერნი არიან შემოქმედნი. ბედნიერნი არიან თავისუფალნი. ბედნიერნი არიან მიმტევებელნი.

რაში მდგომარეობს სიუხვის საიდუმლოება?

თქვენი სიცოცხლე - უდიდესი საგანძურია ღვთის საგანძურთა შორის. ღმერთი კი - ადამიანის გულის უდიდესი განძია. სიმდიდრე თქვენს გულში უშრეტელია, და სიუხვე თქვენს ირგვლივ უკიდვებანია. ქვეყანა საკმარისად მდიდარია, რათა ყოველი იყვეს მდიდარი, ამიტომ რაც მეტს გასცემთ, მით მეტს მიიღებთ. ბედნიერება, თქვენი სახლის

ზღურბლსაა მომდგარი. გაეხსენით სიუხვეს. და ყველაფერი სიცოცხლის ოქროდ აქციეთ. ნეტარ არიან ისინი რომლებმაც განძი საკუთარ თავში იპოვეს.

როგორ ვიცხოვროთ ამ ქვეყანაზე?

შესვით სიცოცხლის ყოველი წამისაგან, რამეთუ გამოუყენებელი სიცოცხლე ბადებს სევდას. და იცოდეთ რომ რაც შეგნითაა, იგივეა გარეთაც. *ქვეყნის სიბნელე - გულის სიბნელიდანაა.* ბედნიერება - მზის ამოსვლაა, აისია. ღმრთის მჭვრეტელობა - სინათლეში გაღვებობა. გაბრწყინება - ეს ათასი მზის ელვარებაა. ნეტარ არიან სინათლეს მოწყურებულნი.

როგორ შევიძინოთ ჰარმონია?

იცხოვრეთ უბრალოდ. ნურავის ნუ მოუტანთ ზიანს. ნუ გშურთ. ეჭვებმა უნდა მოგიტანოთ განწმენდა და არა უბედურება. მიუძღვენით სიცოცხლე მშვენიერებას. იღვაწეთ შემოქმედებისათვის და არა აღიარებისათვის. მოექცეთ მოყვასს ვითარცა გაცხადებას. გარდაქმნით წარსული მისი დავიწყებით. მოიტანეთ ცხოვრებაში სიახლე. ადავსეთ სხეული სიყვარულით. გახდით სიყვარულის ენერჯია, რამეთუ სიყვარული ყველაფერს ასულდგმულებს. სადაც სიყვარულია იქ ღმერთია.

როგორ მივაღწიოთ სიცოცხლის სრულყოფილებას?

ბედნიერი მრავალს გარდაქმნის. უბედურნი - მონებად რჩებიან, რამეთუ ბედნიერებას უყვარს თავისუფლება. ჭეშმარიტად, სიხარული იქაა, სადაც თავისუფლებაა. ჩაწვდით ბედნიერების ხელოვნებას. გაეხსენით სამყაროს და სამყაროგაიხსნება თქვენთვის. წინაღობაზე უარის თქმით თქვენ ხდებით მეუფე. და გადახედა რა ყველას სიყვარულით, დასძინა: მაგრამ კიდევ უფრო მრავალს, თქვენ გაგიმხელთ *მღუშარება...*

მხოლოდ დარჩით ის, რაც ხართ!

იცხოვრეთ ჰარმონიაში! იყავით ის, რაც ხართ!

ფილოსოფიურ აზრთა მარგალიტების კონა ფრენსის ბეკონის გამონათქვამებში

ღიად ჭეშმარიტებათა ღიადი სიტყვებით
წარმოთქმა არაფრად არ ღირს, თუ კი
ჭეშმარიტება გულში არ ცოცხლობს!

* * *

ფრთხილად, ყურადღებით, იქნებ შხა-
მიანი, მძინარე გველებია ირგვლივ! არ
გაგაღვიძოთ...

* * *

ტვინი გონიერია, გული მგრძნობიარეა,
ცნობიერება – სიბრძნის ტაძარია!

* * *

განსაკუთრებული სილამაზე იმაშია,
რომ ცნობიერება სიბრძნის ტაძარია!

* * *

საკუთარი გულის მმართველი,-სამყაროს
მმართველია!

* * *

მამა-პაპასთან მიმავალი, – მამა-პაპასთან
მივა;

ანგელოზებთან მიმავალი, – ანგე-
ლოზებთან მივა;

ღმერთთან მიმავალი, – ღმერთთან მივა!!!

* * *

სამოთხის ჩიტს ჰკითხეს, – საიდან გაქვს
ესოდენ ბრწყინვალე სამოსელი და ასეთი
გასაოცარი შეფერილობაო?



(1561-1626)

მრავალი შხამიანი ისარი მომხვედრია
და უძლიერესი შხამი, მხოლოდ ულამაზეს
შეფერილობას მიტოვებდაო, – იყო პასუხი.

* * *

ბორცისა სძლია კეთილმან...

არავის ახსოვს, როდის მოიგონა სატანამ და ბნელეთის მისმა მსახურებმა სარკე, დასადუპავად მოდგმისა ადამიანებისა, რაზედაც ასე უბრალო სიბრძნით საუბრობენ იგავნი. მათი ნაამბობიდან ჩანს, რომ სარკე დამღუპველია, რომ სარკეში ვერცხლია და ვერცხლის სიყვარულით აბრმავებს სატანა ადამიანებს, თუმცა... თუმცა დიდება უფალს უმწეოდ რომ არ დაგვტოვა და მოგვცა მოდგმას ადამიანთა ნებისმიერი უბედურების სიბრძნის ძალით სიკეთეში სიბრძნით გარდასახვის უნარი... მაშ ასე:

იგავნი ამეტყველდნენ!!!

ერთ ბრძენს ჰკითხეს, – რატომაა, რომ ღარიბი ადამიანი უფრო კეთილია, ვიდრე მდიდარიო?!

ბრძენმა უპასუხა: – აბა გაიხედე ფანჯარაში და მითხარი რას ხედავო?

კაცმა გაიხედა და სთქვა, – ეზოში ბავშვები თამაშობენო.

– ეხლა სარკეში ჩაიხედე და რას დაინახავო?

– სარკეში საკუთარ თავს ვხედავო. და სარკე აქ რა შუაშია?

– განა ვერ ხვდები რომ შუშა ორივე შემთხვევაში შუშაა, მაგრამ ფანჯარა გამჭვირვალეა და ყველაფერს ხედავ მის მიღმა რაც თუ რამ ხდებაო და შუშას, რომ ვერცხლი აეფარება საკუთარი თავის მეტი არაფერი ჩანსო. . .

აი ასე განმარტა იგავმა კაცობრიობის ვერცხლის მოყვარულობით უბედურებათა არსებობა და ისიც განმარტა მან,

თუ როგორ დააბრმავა „ვერცხლით“ კაცობრიობა სატანამ. თუმცა ყველა ვერა, – ბრძენკაცების მცირერიცხოვანთა გუნდი მუდამ მიუძღოდენ კაცობრიობას წინ და მათი სახელები კარგად არიან ცნობილი მთელს დედამიწაზე, – მოსე, ქრისტე, ბუდა და სხვანი და მათთან ერთად ეროვნული სიბრძნეც ერისა ყოველისა...

* * *

მოსემ ოქროს ვერძი დაამსხვრია, მაგრამ ოდეს კერძი აღადგინეს, მოსე მიხვდა რომ საჭირო იყო მცოდნეთა და არა მცოდნეთა ხარისხებად ადამიანთა დაყოფა და ამიტომაც აღარ დაანგრია ახალი ოქროს კერძი. სამაგიეროდ შექმნა განდობილთა კერა 72 კაცისაგან, რომლებიც იმ დღიდან დღემდე მოდიან და მათ უკვე სახელიც აქვთ, – ესსეველები.

ის რომ სარკე დამღუპველია, ეს დღესაც კარგადაა ცნობილი ტიბეტში, მაგრამ სარკის მიმართ მათ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს იმით, რომ სარკეები ტიბეტში არ არსებობდა უკვე მათი ცნობილი შინაარსის გამო. ასე რომ სარკეების უქონლობამ ტიბეტს ვერ უშველა და აი რატომ.

სარკეს ორი დანიშნულება ჰქონდა ერთი უკვე ვიცით, –სატანას სურდა კაცობრიობის დაღუპვა და მეორე კი ის, რაც ბრძენკაცებმა თავიანთი სიბრძნით დაუპირისპირეს სატანას ჩანაფიქრს და ბორცება სიკეთედ აქციეს.

სატანას ჩანაფიქრი იყო ის, რომ სარკის მფლობელი საკუთარ თავს დაინახავდა და სხვის მიმართ საკუთარ განსხვავებასაც

შეამჩნევდა და ამით გაამაყდებდა მას და დაიბადებოდა ყველაზე დამღუპველი სენი, – *ამპარტავენება!!!* ვისაც სარკე არ ჰქონდა თავის თავს ვერ ხედავდა და თავს ვეღარ ალამაზებდა ისე როგორც სარკის მფლობელი, რომელიც პირსაც მოიბანდა, ტუჩებსაც შეიღებავდა და წარბებსაც ამოიკიწნიდა... ასე დაიბადა განსხვავებათა ნიადაგზე ამპარტავენება. ასე რომ სარკის უქონლობა მთიშველიეს ტიბეტში, კატეგორიულად აკრძალეს იგი და, როგორც დავინახავთ, – ამოდ. ამპარტავენება არა, მაგრამ სხვა სენი შეეყარა ტიბეტს, – ჩვევები...

დაეჩვივნენ სმას, მექალთანეობასა და შავ მაგიას და უბედურებისაგან ტიბეტი ბუდიზმის რეფორმატორმა, *ცონ კა პამ* გადაარჩინა: ასი ათასამდე ლამა (მღვდელი) გააძევა, დიღეგებში ჩაყარა და დახოცა კიდევ და ამით აღადგინა ტიბეტში *წმინდა ლამაიზმი (წმინდა სამღვდელეობა)*.

იდეოლოგიურად *ქრისტე* უფრო მკაცრად იქცევა ვიდრე *მოსე* და ეკლესიიდან უშეღავათოდ გააძევებს მევახშეებსა და ფარისევლებს.

უბირთა სივრცეში სარკის უბედურებას, ბრძენმა აღამიანებმა მრავალი სიკეთის ქმნა მოუგონეს და მათი ამ სიმრავლიდან გვინდა მხოლოდ ორი იგავი გამოვყოთ: ერთი *აღმოსავლური* და მეორე *ქართული*.

ერთმა სუფიმ მოწაფე აიყვანა და ყოველი საქმის წინ ლოცვას ითხოვდა და ისიც მკაცრად.

მოწაფე საქმის გაკეთებას ცდილობდა, რათა ოსტატისათვის ეამებინა. მასწავლებელი კი რაღაცნაირად ხვდებოდა, რომ მოწაფეს ლოცვა ეზარებოდა და საქმის გაკეთებას ჩქარობდა. ოსტატი ყოველთვის ნაკლს პოულობდა გაკეთებულ საქმეში და ეუბნებოდა: აი ხომ ხედავ, ცუდად იღოცე და ცუდად გამოგივიდა ნაშრომიო.

მოწაფემ იფიქრა: ეს ალბათ მუშად გადამაქცევსო და ვერანაირ ცოდნას ვერ შევიძენო და... გაეპარა.

ახალგაზრდა ქარავანს შეეკედლა და სხვა სულთანათში გასწია.

გზაში მან შეამჩნია, რომ ერთ ვაჭარს იქაური სულთანისათვის ზღაპრულად მდიდრული სარკე მიჰქონდა საჩუქრად და ყოველ დილა-სადამოს წმინდავდა და აპრიალებდა სარკეს. ახალგაზრდამ შეამჩნია ეს და იფიქრა: რა ახირებული ვინმეაო... მაგრამ ბოლოს და ბოლოს დააინტერესა და ადრინაი დილით თავს წაადგა ვაჭარს... და რას ხედავს, – მთელი ღამის უდაბნოს მტვერი სარკეზე დაღეჭილა და მართლაც გასაწმენდი იყო. ასე სადამოსაც: ვირებისა და აქლემების ფეხებით ამტვერებული უდაბნო სქლად დადებოდა სარკეს და...

მიხვდა იგი ყოველივეს: გონება ბინძურდება იოლად და ლოცვა კი სარკესავით აპრიალებს მას.

დაბრუნდა ყმაწვილი უკან მასწავლებელთან, მღაბლა დაუკრა თავი, ემთხვია მოძღვრის ფეხებს და მონანია შეცდომა.

ამობენ მისგან დიდი *სუფი* დამდგარაო...

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ეროვნული სულის ეს სიბრძნე ყოველთვის მარცხდება და ამ ქართული ზღაპრის სილიადე არა მარტო მიუწვედომელია ყველა აქ მოყვანილი იგავისათვის, არამედ იგი იმდენად დიდი შინაარსისა არის, რომ მასში ისტორიულად ჩამოყალიბებული და გაშიფრული ქრისტიანობის გარდა ერის სულიერი ღერძია შემონახული: ამ ზღაპარში უკვდავებაცაა სიყვარულიც, ეროვნული სულის ზუსტი განმარტებაც და... ნუ გამიწყრება მკითხველი, მაგრამ აქ პირდაპირი, უშეღავათო მინიშნებაა იმაზეც, რომ ხსნა იბერიიდან მოდის იმიტომ, რომ ჩვენი სჯულის არსი და დანიშნულება, - სიყვარული ყოფილა. და ეს თუ ასე არაა მაშ წაიკითხეთ, და თავად დარწმუნდებით სარკის მზაკვრული სატანური შინაარსი რა გასაოცარი სიბრძნით გაოიყენა ერმა უწინ და... თუ გადავრჩებით მხოლოდ იმიტომ

რომ ეს თვისება – სიყვარული სისხლსა და ხორცში გვექონია და სჯულიც ამიტომ ასეთივე გვაქვს.

მაშ ასე, – აი ეს ზღაპარიც და აბა თქვენ იცით... მე კი ის ბედნიერება მხვდა წილად, რომ ასეთ საქართველოს, ჩვენი ცოცხალი წინაპრების სახით მე ნამდვილად მოვესწარი და ჩემი ხნის ადამიანები დაგიმოწმებენ თქვენ ამას...

ჯადოსნური სარკე

(ზღაპარი)

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი სამეფო, სადაც ძალიან კეთილი და ლამაზი ადამიანები ცხოვრობდნენ.

ყველას ერთმანეთი უყვარდა, ყველას ერთმანეთისა სჯეროდა. ერთად მუშაობდნენ და ერთად ისვენებდნენ.

ვინმე რომ მოიწყენდა, დანარჩენებიც მოიწყენდნენ.

ვინმე რომ გაიხარებდა, ყველა ხარობდა. ამ ლამაზ ქვეყანას საოცრებაც ჰქონდა: ადამიანები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, მერე სულ დიდები იყვნენ და არასოდეს ბერდებოდნენ. სიკვდილი რა იყო, არავინ იცოდა. კიდევ კარგი, ყველანი უკვდავები იყვნენ, თორემ ერთიც რომ მომკვდარიყო, დანარჩენები მის დარღს ვერ აიტანდნენ და დაიხოცებოდნენ.

ლამაზ ქვეყანას ლამაზი მეფე ჰყავდა. ლამაზ მეფეს – პატარა და, რა თქმა უნდა, ლამაზი უფლისწული.

უფლისწული რომ წამოიზარდა მეფეს ჰკითხა:

– ჩვენი ქვეყნის გარდა კიდევ სხვა ქვეყნები თუ არსებობსო?

– არსებობსო. – უთხრა მეფემ.

– მაშინ, უნდა წავიდე და ის სხვა ქვეყნებიც უნდა ვნახო, თქვა უფლისწულმა.

დიდხანს ემუდარა მეფე:

ნუ წახვალ, სხვა ქვეყნების სანახავადო...

მაგრამ ვერაფერს გახდა.

რადას იზამდა, გამგზავრების წინ ჯადოსნური სარკე მისცა:

– წადი შეილო, რაკი შენსას არ იშლი, მაგრამ ეს სარკე მაინც წაიდე თან, ვინ იცის, რა შეგემთხვევა. ყველა ქვეყანაში შეეცდებიან თავიანთ თავს დაგამგვანონ, მაგრამ შენ არ დაგავიწყდეს, რომ სილამაზის ქვეყნიდანა ხარ. თუ გაგიჭირდა, ამ სარკეში ჩაიხედე, – ჩვენი ქვეყნის სარკეა, ყველა უკეთურსა და ბოროტს სილამაზესა და სიკეთეს ანიჭებსო.

უფლისწულმა შეჰფიცა მამას: ეგრე მოვიქცევიო.

აიღო ხელში ჯოხი, მხარზე გულა მოიგდო, სარკე წაიღო და გზას გაუდგა.



ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქვეყანას მიაღდა.

წარმოიდგინეთ და ეს ქვეყანა მუქთახორებისა ყოფილა. ერთი კაცი შრომობდა, დანარჩენები მის ნაოფლარს ჭამდნენ.

უფლისწულმა უცქირა მშრომელ მარტოკაცს და შეებრალა. გაახსენდა: მარტო კაცო ჭამაშიაც ბრაღიო, და გვერდში ამოუდგა.

დიდხანს შრომობდა მასთან ერთად. დიდხანს იმუშავა მარტოკაცთან. მარტოკაცმა სული მოითქვა, მაგრამ ბოლოს უფლისწულსაც მობეზრდა მარტოკაცთან შრომა, ადგა და მუქთახორებს შეუერთდა.

მუქთახორებს თავისი მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდათ: პირი არ გაეჩერებინათ.

დღე და ღამ ეჭამათ, ვისაც მეფე ჭამაში ზარმაცობას შეამჩნევდა სასტიკად სჯიდა.

სასჯელი მართლაც მკაცრი იყო: ერთი კვირის განმავლობაში სხვების ულუფაც მას უნდა შეეჭამა.

მუქთახორები ყველაფერს ჭამდნენ რასაც მოიხელთებდნენ. სულ ერთი იყო შემწვარი და შეუმწვარი, მოხარშული და მოუნარშავი. პურივით შეექცეოდნენ ერთმანეთის ქუდებს, ფეხსაცმელებსა და ხალათებს, ხეებს და ყვავილებს, ბალახებს, ფოთლებს და სახლის მოაჯირებს, პეპლებს და ჩიტებს, სად იყო სიცილი და სიხარული, – ისიც მუქთახორებს შეესანსლათ.

ერთ დღეს, როცა მუქთახორების მეფემ უფლისწული სხვისი ცრემლის შეჭმით დასაჯა, უფლისწულმა გუდა გახსნა და სარკე ამოიღო, ჩაიხედა სარკეში და... თავი ვეღარ იცნო.

ატირდა და თვალებიდან ჩამოდენილი წრემლები სარკეზე იღვრებოდა. როცა ტირილით გული იჯერა და ისევ სარკეში ჩაიხედა, მაშინ კი იცნო თავისი თავი. მეორე დღესვე მარტოკაცთან გაჩნდა და მასთან ერთად ისევ შრომა დაიწყო.

აყვირდნენ მუქთახორები და შიმ-



შილობა გამოაცხადეს. მოგეხსენებათ, მუქთამჭამელთა ქვეყნისათვის შიმშილობა უკიდურესზე უკიდურესი პროტესტი განხლდათ.

ვერაფერს მიაღწიეს.

ბოლოს იძულებული გახდნენ, შიმ-

შილობა შეეწყვიტათ. ადგნენ და უფლისწულთან მივიდნენ.

გამოუცხადეს:

– დღეიდან ამ მარტოკაცთან არ დაგინახოთ, ჩვენი საჭმლის ჭამას ვერ აუუდივართ, შენი საჭმელი ვინ ჭამოსო. ახლავე წამოდი, გვერდში ამოგვიდექი, თორემ ყველაფერს მოვანსენებთ მეფეს და მაშინდელივით ცრემლებს კი არ დაგაჯერებს, – მთელი ქვეყნის დარდსაც შეგაჭმევსო.

შეწუხდა უფლისწული.

თუ მიხსნის, ისევ და ისევ ეს ჯადოსნური სარკეო, და მუქთახორებს უთხრა:

– წამოვალ, ოღონდ ერთი სათხოვარი შემისრულეთო.

– თქვი და შეგისრულეთო, – დათანხმდნენ მუქთახორები.

უფლისწულმა გულიდან სარკე ამოიღო და მუქთახორებს დაანახა:

– ხომ ხედავთ ამ სარკეს, შიგნატვრისთვალი გამებნა, ვერაფრით ვერ მიპოვნია, კარგად დააკვირდით, ვინც იმ ნატვრისთვალს აღმოაჩენს, დღეიდან იმის ულუფასაც მე შევჭამო.

ასეთმა საცდუნებელმა წინადადება მუქთახორები არიგ-დარია. ყველა იმას ფიქრობდა: ვინ იცის იქნებ ბედმა გამიღიმოს, მე ვიპოვო ნატვრისთვალიო, და რიგრიგობით დაიწყეს სარკეში ჩახედვა.

მართალია, ნატვრისთვალი ვერაფრით ვერ აღმოაჩინა, მაგრამ სასწაული კი მოხდა:

ვინც კი სარკეში ჩაიხედავდა, მაშინვე მუქთახორებს გამოეყოფოდა, მარტოკაცთან მიიბრუნდა და მასთან ერთად შრომას იწყებდა.

იმ დღიდან, იმ ქვეყანაში არც მუქთახორები არიან და არც მარტოკაცი...

უფლისწული კი ახლა სხვა ქვეყანაში მიდის. ვინ იცის რა ამბები დატრიალდება იქ.



საქართველო მისტერიათა და პოლიტიკურ სისტემათა ასპარეზია...

ასე მოკლე ისტორიულ პერიოდში, ასეთი სისწრაფითა და სრული სიმრავლით, არც პოლიტიკურ სისტემათა მონაცვლეობა არ მომხდარა არცერთ ქვეყანაში და არც ასეთი სიმრავლით არ ყოფილა წარმოდგენილი სულიერი სპექტრიც: დაწყებული ექსტრასენსებიდან და უამრავი „ასტროლოგიდან“ და დამთავრებული მრავალი სხვადასხვა პოლიტიკური თუ რელიგიური დოქტრინებით.

ჩვენ არ ვეხებით რელიგიურ დოქტრინებს, ეს პირადი არჩევანის უფლებაა, მაგრამ პოლიტიკური სპექტრის პლატონისეული ნუსხის შვიდიდან მხოლოდ ხუთს მიგანიშნებთ, რომელთა უმრავლესობა უკვე გათამაშდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ არენაზე...

პლატონის სახელმწიფოთა ნაირსახეობანი:

- I. მომავლის იდეალური სახელმწიფო-მისტიკოსის ხელისუფლება;
- II. მონარქია – ერთი ადამიანის სამართლიანი ხელისუფლება;
- III. არისტოკრატიული ხელისუფლება – უმცირესობის სამართლიანი ხელისუფლება;
- IV. ტირანია – ერთი ადამიანის უსამართლო ხელისუფლება;
- V. ოლიგარქია – უმცირესობის უსამართლო ხელისუფლება;
- VI. დემოკრატია – უმრავლესობის სამართლიანი ხელისუფლება;
- VII. თიმოკრატია – უმრავლესობის უსამართლო ხელისუფლება, სამხედრო ბელადების ხელისუფლება, ჯარის ხელისუფლება.



პ ლ ა ტ ო ნ ი


პლატონის ფილოსოფიის ცენტრალური ადგილი ერთობის პრინციპს უჭირავს. მისთვის ერთობის პრინციპი წარმოადგენს ყოველად შედწევად, ყველგან არსებულსა და თვალნათლის მოვლენას. *გაყოფა* – ილუზიაა. გაყოფის ფილოსოფიასთან თანხმობა *უმეცრებიდან* მოდის. ერთობა იყო რეალობა და ერთობის დოქტრინა კი - *ჭეშმარიტება*. უმეცრება სამყაროში მრავალ ცალკეულ საგანს ხედავს: სიბრძნე კი ხედავს ერთი და იგივე საგნის მრავალ ასპექტს. ღმერთი, ადამიანი და სამყარო წარმოადგენენ ურთიერთ დაკავშირებულ საერთო ერთიანობის ნაწილებს. ზუსტად ეს კონცეფცია წარმოადგენს *ჭეშმარიტი* მონოთეიზმის გამოხატულებას, რამეთუ მონოთეიზმი – ეს უკვე მეტია, ვიდრე ერთიანი ღმერთის აღიარება და ესაა ერთიანი სიცოცხლის არსებობის აღიარება, რომლის ნაწილებსაც წარმოადგენს ყოველი საგანი. მაშინ შემეცნება დაიყვანება ურთიერთკავშირების შესწავლაზედ. ეს უკვე არსებათა ცალკეული დაჯგუფებები როდი არიან, არამედ ეს იმ როლის გაცნობიერებაა, რომელსაც ყოველი მათგანი ერთიანის დრამაში თამაშობს. ღმერთის პლატონისეული კონცეფცია ატარებს ნზეობრივ და არა საგნობრივ ხასიათს. მისი შეხედულებით, *ღმერთი - ეს ჭეშმარიტებაა, ფაქტი, ანუ რეალობა*, რომელსაც უნივერსუმი ეყრდნობა. ერთიანობა, ანუ რეალობა წარმოადგენს *ჭეშმარიტების* დასტურს ზუსტად ისევე, როგორც კანონი ნიშნავს გონების არსებობას. ნებისმიერი *ჭეშმარიტება* აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ერთიანობას, ან ერთობლიობას, რადგან

ჭეშმარიტება არ შეიძლება იყვეს სიმრავლის წყარო. ის, რასაც ჩვენ სიმრავლეს, ანუ მრავალფეროვნებას ვეძახით, წარმოადგენს მხოლოდ ერთიანობაში უსასრულო განვითარების სვლას, რომელიც ჩვენ არ გვესმის. პლატონი არ ცნობდა ბოროტების არცერთ პრინციპს. ის რაც ბოროტებად წარმოისახება სხვა არაფერია, თუ არა *ჭეშმარიტების* ფორმა, რომლის წვდომაც ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან წარმოადგენს იმ ერთად-ერთ ნაწილს, რომლის ერთიან გეგმაში ჩართვას ვერ ვახერხებთ ჩვენივე წვდომის არასრულყოფილების გამო. *ჭეშმარიტება*, მექანიკური როდია, არამედ ცოცხალი მოვლენაა და წარმოადგენს სულიერ საწყისს, რომელიც აცოცხლებს ყოველ ცოცხალ არსებას. ამგვარად *ჭეშმარიტება* ყველგან არსია. აღმოაჩინო *ჭეშმარიტება* სამყაროში და საკუთარ თავში, აი ის ამოცანა მათთვის, ვისაც სიბრძნე სურთ. *სამყარო ჭეშმარიტების გამოვლინებას წარმოადგენს.* *ჭეშმარიტება*, როდესაც იხსნება, თავის მხრივ აიძულებს ფარდობით *ჭეშმარიტებებს* გამოვლინდნენ საკუთარი არსიდან, და ისინი განსხვავდებიან საკუთარი წყაროსაგან – აბსოლუტური *ჭეშმარიტებისაგან*. ფარდობითი *ჭეშმარიტებანი* – ესაა ღმერთები, რომელთა მხრებზეც „დგას“ სამყარო. მათგანაა წარმოშობილი გარკვეულ ფორმაში მყოფი სამყარო, რომელიც ამ ფარდობით *ჭეშმარიტებას* ეყრდნობა. ადამიანები ღმერთების ნაშიერნი არიან, რომლებიც შინაგანად აბსოლუტური *ჭეშმარიტებისაგან* (სულისაგან) და გარეგნულად კი სხვადასხვა დონის ფარდობითი *ჭეშმარიტებისაგან*

(სამშენებელი, ინტელექტი, სხეული) შესდგებიან. ადამიანის შინაგანი ბუნება, თავისთავად გაცილებით უფრო კეთილის მქმნელია, ვიდრე სხეული, იგი ითვლება უმაღლეს განყოფილებად და იმყოფება გულში. მის შემდეგ ფასეულებათა

სულიერ საწყისთან, რაც სულიერ საყრდენ ძალას წარმოადგენს მისსავე არსების შინაგან სიფრცვეში.

პლატონის განათლების თეორია ძალზედ განსხვავდება ჩვენი დღევანდელი წარმოდგენებისაგან. სახელმწიფოს იგი



სკალაზე, მოდის ინტელექტი, რომელიც თავის ტვინშია, რასაც პლატონიკები სხეულის აკროპოლს უწოდებენ. ადამიანის ცხოველური და ემოციური უმცირესი შემადგენელი ნაწილები, განლაგებულნი არიან უმაღლეს ადგილას: ასეთნაირად ადამიანი გადაქცეულია სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ იმპერიად. და ყველა ეს ნაწილი ერთი დვთაებრივი პირველსაწყისი მდგომარეობის არსია. როგორც სხეული ერთიანია მოქმედებისას, ასევე ერთიანია იგი თავის სათავეშიც. **უმეცარი ადამიანი იმყოფება თავისი ცხოველური ბუნების მონობაში; ნაწილობრივი ცოდნის მფლობელი ადამიანი თავისი ინტელექტუალური ბუნების მონობაში; და აღმატებულად განათლებული ადამიანი ერთიანია თავის**

წარმოიდგენდა, როგორც საკუთარი ხალხის მასწავლებელს. რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და ყოველი კულტურასთან დაკავშირებული ცოდნის ასპექტები, ერთად აღებული, წარმოადგენდნენ სახელმწიფოს. როგორც სულიერი განათლება, ასე ფიზიკური აღზრდა წარმოადგენდნენ მოქალაქეთა ბუნებრივ და განუყრელ უფლებას და ამით ქმნიდნენ თავად სახელმწიფოსაც. ტაძარს ქალაქის საკრებულო წარმოადგენს და ამ, ფილოსოფიური განათლების ცენტრალური დერძის ირგვლივ ბრუნავდა თემი, მთელი ცხოვრება, და შრომითი საქმიანობა ადამიანებისა მთლიანად ამ წამყვან საწყისზე იყო დამოკიდებული. პოლიტიურ მიდრეკილებათა სანაცვლოდ, ადა-
მიანებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი

ფილოსოფიური ფასეულობანი და მათდამი ერთგულება. ერთგულებას ითხოვდნენ არა პარტიები, არამედ პრინციპები. საყოველთაო სიკეთე, ანუ სიკეთე ყოველთა, გახლდათ მიზანი, რომლის მიღწევის გულისათვის დიდი სიბეჯითით შრომობდა საზოგადოების ყოველი ინდივიდუუმი.

პლატონთან სოკრატესაგან მოვიდა ჭეშმარიტების ბუნების სამგვაროვნების წვდომა: ეს უზენაესი რეალობა ვლინდება სამი შეცნობადი ატრიბუტის სახით, რომლებსაც სოკრატე უწოდებს ერთიანს, მშვენიერსა და სიკეთეს. ერთიანს პლატონი ხსნის როგორც ერთობას, პრინციპს, რომელსაც უჭირავს სამყარო. მშვენიერი, – როგორც ჰარმონია და პიროვნებებში ამ პრინციპების შერევა საყოველთაო სიკეთისათვის. სიკეთე კი, როგორც თანდაყოლილი კეთილშობილება, სამართლიანობა და პატიოსნება, რომლებიც წარმოადგენენ კოლექტიური შემოქმედების ერთად-ერთ საკმარის და აუცილებელ ნორმას. ისინი ასევე ამ ქცევის კრიტერიუმებისამებრ იქცეოდნენ. ყოველთვის, როდესაც რომელიმე ადამიანი ჩაიდენდა რომელიმე საქციელს, იგი განიხილავდა საქციელის შინაგან ღირებულებას და სვავდა კითხვას: „ეთანხმება ეს ერთიანობას, სილამაზეს და სიკეთის ქმნას, თუ არა?“ თუკი საქციელი ვერ უძლებს ამ შეფასებას, მაშინ იგი შეუფერებელია ფილოსოფოსისათვის.

* * *


პლატონის დისციპლინები

პლატონის, როგორც ელევზინისა და დიონისეს რიტუალების განდობილს, ეკრძალებოდა ადამიანის სრული განახლების საიდუმლოებათა გახმევანება, საიდუმლოებებისა, რომლებსაც მხოლოდ ტაძრის წმინდათა-წმინდაში ამცნობდნენ ნეოფიტებს. მაგრამ თავად მას, სიცოცხლეშივე ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი ცუდათ ნიღბავდა ღვთაებრივ საიდუმლოებებს. პრაქტიკულად, პლატონის ყველა ნაწარმოებაშია მინიშნებანი საიდუმლო ცოდნის შესახებ და მისგან მოიხსენიებიან ის საიდუმლოებანი, რომლებსაც პროფანებს უმაღავდნენ. იგი ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტება და სიცოცხლე განუყოფელია ადამიანის სულიერი ბუნებისაგან და რომ ისინი, როდი არიან მისი ბუნების მდაბიო და მარტივი ასპექტებისაგან. მდაბიო ფორმები უკავშირდებიან ჭეშმარიტებას. ამიტომ ფორმები, თავის თავად არ წარმოადგენენ მცოდნეს ან შეგნებულებს, არამედ მხოლოდ უზენაეს ბუნებასთან სიახლოვის გამო აქვთ მინიჭებული ცნობიერება და გარკვეული ინფორმაცია. იმისდა შესაბამისად, თუ რა ხარისხითაა ადამიანი დამოკიდებული ილუზიებზე და ზედმეტობებზე, რომლებიც ფორმასთან არიან დაკავშირებული, მაშინ იგი ამავე ხარისხით სცილდება ღვთაებრივი ბუნების სიკეთისმქმნელ ერთობას. პლატონის დისციპლინები დაყვანილნი არიან სწავლებასთან იმის შესახებ, რომ ადამიანმა ჯერ თავიდანვე უნდა გააცნობიეროს ჭეშმარიტების რეალობა და, მხოლოდ ამის სრული გაცნობიერებით დაიწყოს ბრძოლა საკუთარივე არსების ყოველ ნაწილთან, რათა ეცადოს და გახდეს ერთარსი ამ ჭეშმარიტებასთან ისეთნაირად, რომ ყოველი აზრი და ყოველი საქციელი ადასტურებდნენ მის სრულ სიკეთისქმნასა და უნაკლო მოქმედებას. პლატონიკების თანახმად, არსებობენ სამი

ხარისხის არსებანი, რომლებიც ერთად არსებობენ ჭეშმარიტების ვრცელ ბუნებაში და ამა თუ იმ ხარისხით ინაწილებენ მის გასხივოსნებას. პირველი ხარისხის არსებებს დმერთები წარმოადგენენ, რომლებშიდაც ჭეშმარიტება ყველაზე უფრო სრულად ავლენს საკუთარ თავს. მეორე ხარისხს მიეკუთვნებიან გმირები, ანუ ის განათლებული ადამიანები, რომლებიც ამდღდნენ ჩვეულებრივ ადამიანებზე და უკვე მოკვდავნი აღარ არიან. მესამე ხარისხს მიეკუთვნება კაცობრიობა და სხვა დანარჩენი ცხლველები - ანუ ფორმები, რომელშიდაც დვთაებრივი პრინციპი თითქოს და „თვლემს“ ან გამოდგიზებულია იმდენად უმნიშვნელო ხარისხით, რომ უუნაროა მართავდეს საკუთარ საქციელს. „სხეული - ამბობს პლატონი, - სულის აკლდამაა“. ყველა ცოცხალ არსებას, რომლებშიდაც უმაღლესი ბუნება, სხეულის მოთხოვნილებების მიმართ მონურ მდგომარეობაში იმყოფება, უფრო სწორი იქნებოდა ვუწოდოთ მკვდრები, რამეთუ მათ შიგნით ჭეშმარიტება მკვდარია, რამეთუ სულმა ვერ მონახა საშუალება საკუთარი თავის გამოვლინებისა. ფილო-სოფიური განათლების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ თანდაყოლილი უნაკლო თვისებები გამონათავისუფლოს, რათა ამით ადამიანმა განახორციელოს თავისი ნება და ძალაუფლება მდაბიო და ბნელ ინსტინქტებზე. პლატონი წერს, რომ ცოდნის შექენა-ესაა გახსენება. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ განათლება ინდივიდუუმის ქვეცნობიერიდან დებულობს წარსულ ცხოვრებათა გამოცდილებასა და სიბრძნეს, არამედ იგულისხმება ისიც, რომ განათლების ძალითა და მადლით ადამიანი ათავისუფლებს საკუთარი დიდი „მე“-ს მესხიერებას, და ინტელექტი ხელახლა აღმოაჩენს საკუთარი თავისათვის თავის დვთაებრივ წარმოშობას, მიზანსა და სვებედს. პლატონის აზრით, ფილოსოფიის გზა გადის განათლებასა და

კულტურაზე. მეცნიერებით დაკავებული ადამიანი, სრულყოფს თავის გონებას და ხელოვნების შესწავლით კი, იგი აკეთილშობილებს თავის ვნებებს. სოკრატე პროფესიით მოქანდაკე იყო, და მისი ხელოვნება ზეგავლენას ახდენდა მის ფილოსოფიაზე. იგი ასწავლიდა პლატონს, რომ ბრძენი ძერწავს, მარმარილოდან გამოთლის თავის სვებედს, სრულყოფს საკუთარ თავს, მსგავსად იმისა, როგორც ქვის მთლელს სრულყოფილებამდე დაყავდა თავისი ქმნილება.

განათლების შედეგად ადამიანი „ჩამო-




ათლის“ საკუთარ თავს ყოველივე იმას, რაც მასში უხეშია და უგვანი და განიწმინდება რა განათლების მადლით ყოველი ზედმეტისაგან, საბოლოო ჯამში აღმოაჩენს სრულყოფილ ხატებას, რომელიც დაფარული იყო მოუწესრიგებელი და არასრულყოფილი ველური ინსტინქტებისა და ემოციების არასრულყოფილი მასის ქვეშ. სახელდობრ პლატონს ეკუთვნის იდეა

მ ე ლ ე ა

იმაზედ რომ რაც მეტს შევიცნობთ გარე სამყაროს, მით მეტად შევიცნობთ საკუთარ თავსაც. უფრო ღრმა ცოდნა ზრდის პერსპექტივებს და გვანიჭებს საგანთა უფრო სწორ შეგრძნებებს; მაშასადამე, მივდივართ რა იმის გაგებასთან თუ რა არის სამყარო, ჩვენ მას მეტი მოწიწებითა და საკადრისი პატივისცემით ვექცევით.

უმეცარ ადამიანს არ შესწევს უნარი საკადრისი პატივი მიაგოს ღმერთებს, რამეთუ მას არ ესმის მათი. მხოლოდ ბრძენს შესწევს უნარი გამოიცნოს და ღირსეულად შეაფასოს სიბრძნე და მხოლოდ სრულყოფილებას ნაზიარენი არიან ღირსნი იმისა, რომ ეზიარონ ჭეშმარიტების სიღიადებს.



ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ანიჭებს კაცობრიობის თითოეულ წარმომადგენელს თანაბარ განუყოფელ უფლებებს, საყოველთაო თავისუფლებას, რაც მშვიდობის, ცივილიზაციის, ქვეყნებისა და ხალხების დაცვის საწინდარია, დედამიწა ამის შედეგად ადამიანთა მოდგმისათვის საერთო სახლად იქცევა.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ბუნებრივად გულისხმობს საკუთარი მოვალეობის გამაცნობიერებელ ადამიანთა არსებობას, რომელთა დაუცხრომელი მოდგაწეობა წინ უძღოდა კაცობრიობას ცივილიზაციის ისტორიის მთელ მანძილზე, რომელთა დაუღალავი შრომაც კაცობრიობის ისტორიის საბოლოო უზენაეს კანონზომიერ შედეგში გამოვლინდა, რის გამოც მათი სახელები მარად ცოცხლობენ ადამიანთა ხსოვნაში, მიგვაჩნია, რომ ადამიანის მოვალეობა გაგებულნი უნდა იქნას როგორც ერის გლობალური ამოცანა. ადამიანის მოვალეობა უნდა იქნას დეკლარირებული, რათა ნებისმიერ ადამიანს მიეცეს საშუალება შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა ევოლუციის პროცესში.

ვინაიდან საქართველო, წმინდა მარიამის წილხვედი ქვეყანა, საერთო საკაცობრიო ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ტანჯული წევრი, ამჟამად განსაკუთრებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან იგი იქცა სცენად უზენაესი მისტერიისათვის, რომელიც ქვეყნებისა

და ხალხების დიფერენცირებისა და შერწყმის საიდუმლოებას ასახავს, მიგვაჩნია, რომ კაცობრიობა საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც ფხიზლად აღიქვავს და სათანადოდ იმოქმედებს სახელმწიფოთა, ხალხისა თუ საზოგადოების ცალკეულ პიროვნებათა მდგომარეობის ნებისმიერ გამოვლინებაზე.

ვინაიდან მთელს მსოფლიოში მწიფდება ქრისტეს მიერ დათესილი სიყვარულის ნაყოფი, განგებამ საქართველოს სხვა სახელმწიფოების პარლამენტებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საშუალება მისცა, ვაცხადებთ, რომ:

მოვალეობათა დეკლარაცია წამებული ხალხის ზნეობრივ საწყისზე უნდა აღმოცენებულიყო, როგორც ამ ხალხის ფსიქიური პოტენციალის გამოხატულება, როგორც წამებულის მადლიერება მთელი კაცობრიობისადმი, როგორც მადლობა თანაგრძნობისა და თანადგომისათვის.

ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებთან დაბრუნება, გაღვიძებული ქრისტიანობის ზნეობრივი ძალა ჩვენში ჰუმანურობასა და გულის სითბოს გაადვილებს.

ჰუმანურობა და გულის სითბო, – პიროვნების სულიერად და ესთეტიკურად აღზევების საწინდარი, – ხელოვნებათა ახალი ძალით აღორძინების წინაპირობაა, წინაპირობაა იმ შემოქმედებითი აფეთქებისა, რომლის მძლავრი ტალღაც მთელ მსოფლიოს განეფინება.

ვინაიდან ერის ბედზე პასუხისმგებელი ინტელიგენცია ევოლუციის პროცესში

გაზრდის საკუთარ სულიერ პოტენციალს, რომლის შინაარსი სხვა არაფერია თუ არა ქრისტესმიერი სულიერება. ვაცხადებთ, რომ სულიერება, როგორც გონების განსაკუთრებული სინთეზის უნარი, მოვალეობის მქონე ადამიანთა ის თვისებაა, რომელიც ბუნებრივ იმუნიტეტს წარმოადგენს და დაიფარავს ერს ნებისმიერ ისტორიულ სიტუაციაში, თუკი ამ დოკუმენტის პრინციპების მიღება და შესრულება ჩამოყალიბებული, მომწიფებული ადამიანის ნებაყოფლობითი აქტი გახდება. ამიტომ, ჩვენ მივმართავთ მათ, ვისაც მიაჩნია, რომ მოვალეობა მომწიფული სულის მოთხოვნილებაა.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში ყოველი ადამიანი პოტენციურად და ფაქტობრივად წარმოადგენს მის საგანძურს, ძალას, ღირსებას, ადამიანურ რესურსს, ამიტომ ყველას უნდა მიეცეს უფლებათა სრული თავისუფლება, უფლებების საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე.

მუხლი 2.1. ყოველი ადამიანი ვალდებულია პატივი სცეს პიროვნების უფლებას, რადგან მისი დარღვევა სერიოზული დანაშაულია პიროვნების, სახელმწიფოსა და მთელი კაცობრიობის წინაშე. სახელმწიფო მსგავსი დარღვევის შემთხვევაში, თავის მხრივ, კარგავს მორალურ და პოლიტიკურ კანონიერებას.

მუხლი 2.2 ყოველი ადამიანი ვალდებულია იყოს მაქსიმალურად თვით-დისციპლინირებული, და არ შექმნას პრეცედენტი იმისა, რომ საკუთარი სახელმწიფო ტირანიისა და დესპოტიზმის სახელმწიფოდ გარდაიქცეს. ამით

საზოგადოებას მიეცემა ბუნებრივი ევოლუციის საშუალება და მაშინ საჭირო აღარ იქნება ციხეები, ბანაკები, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ატრიბუტები, რომლებიც დღეს ასე ამძიმებენ კაცობრიობის სინდისს.

მუხლი 3.1 ყოველმა ქრისტიანმა უნდა გაიცნობიეროს, რომ ქრისტეს მოძღვრებისადმი ერთგულებით ჩვენი ხალხი საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა ბრძოლას ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, რათა რეალური საფრთხისას მოეხმო ეროვნული გადარჩენის ამ ერთერთი გადამწყვეტი საშუალებისათვის, რათა არ გადაჩეხილიყო ანარქიის, ნგრევის, სიღატაკის, ხალხის გონიერების დროებითი დაბინდვის უფსკრულში.

მუხლი 3.2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდოს მოყვანს, დაეხმაროს მას ისე, რომ არ შელახოს მისი ადამიანური ღირსება.

მუხლი 3.3. მორალური პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ყოველი ადამიანი, – როგორც პიროვნება და მოქალაქე, – ვალდებულია გამოიყენოს მსოფლიოს მიერ გაღებული ყოველგვარი დახმარება და გააძლიეროს კოოპერაცია და კავშირები ყველა შესაძლო პარტნიორთან, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, რათა უახლოეს დროში დავადწიოთ თავი დამამცირებელ სიღატაკეს.

მუხლი 4. ყოველი ადამიანი მოვალეა გაიცნობიეროს შრომა, როგორც სახელმწიფოს ერთადერთი ურყევი საფუძველი. ვალდებულია გაიცნობიეროს და იღვაწოს კიდევ, რათა საკუთარი დაძაბული და დაუდალავი შრომით უპატრონოს საკუთარ მიწას, დაიცვას

მისი ბუნება, გაზარდოს სახელმწიფოს ეკონომიური და სამეცნიერო პოტენციალი.

მუხლი 5. ყოველი ადამიანი მოვალეა, – უზენაესი პატივი მიაგოს ქალს, როგორც სამყაროს დედას. დაე დაემკვიდროს ქალი ფერისცვალების დიად სიმბოლოდ. ჩვენი სულიერი ფერისცვალების, სიცოცხლის წყარო და სიცოცხლის წინამძღვარი ღვთისმშობელი, დაე დამკვიდრდეს ჩვენდა წინამძღვრად, ჩვენდა მფარველად ჩვენი ცხოვრების მეკვლე, ყოველისგამღები და ყოველისმომნიჭებელი სამყაროს დედა.

მუხლი 6. ყოველი ადამიანი მოვალეა, თვითღმრთისპირის პრინციპიდან გამომდინარე, პატივი სცეს სახელმწიფოს და საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებს. მხოლოდ გუშინდელი მონა ეურჩება ბრძანებას, მხოლოდ მდაბალ თვითშეგნებას ეშინია საკუთარი სახელმწიფოს მიერ დაწესებული კანონების შესრულების შედეგად, დაკარგოს თავისი ინდივიდუალობა. გასათვალისწინებელია ის, რომ სახელმწიფო თავად არის შეზღუდული მოქალაქეთა უფლებებით და ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება ადამიანის უფლებათა ბუნებრივი ევოლუციის პროცესში.

მუხლი 7. ყოველი ადამიანი მოვალეა იბრძოლოს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობის მისაღწევად საჭიროა და მისაღები კომპრომისები, თანამშრომლობა და კეთილი ურთიერთობების დამყარება ყოველგვარი დაბრკოლებებისა და სიძნელეების გადასალახავად. ცნობილია, რომ მშვიდობის შემოქმედნი ღვთის შვილებად იწოდებიან.

მუხლი 8. ყოველი ადამიანი ვალდებულია ხელი შეუწყოს ქალთა ერთობას, როგორც დედამიწაზე კულტურის ახალი ეპოქის

დამკვიდრების საწინდარს, სამყაროს ორსაწყისოვნების, ადამიანის ევოლუციის ამოსავალ წერტილს.

მუხლი 9. ყოველი მოქალაქე მოვალეა აღიქვას იერარქიის პრინციპი, როგორც ევოლუციის საფუძველი, როგორც ბუნების კანონი გამოსახული ფორმულით: მდაბალი ემორჩილება მაღალს. მას, ვინც ვერ აღმოფხვრა საკუთარ თავში მონა, მივმართავთ: იერარქია განსხვავდება დესპოტიისაგან, მონიბა და შეგნებული იერარქია საესებით საპირისპირო მოვლენებია, რადგან არსებობს იერარქია ცნობიერების, იერარქია თავისუფლების, იერარქია ცოდნის, იერარქია ნათლის, სიწმინდის და ა.შ.

მუხლი 10. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი სიტყვის უფლება, მაგრამ ის ვინც მიიღებს მოვალეობათა დეკლარაციას, როგორც მოქალაქე, პასუხს აგებს მის მიერ საჯაროდ წარმოსთქმულ ნებისმიერ სიტყვაზე, რადგან ბილწისიტყვაობა წყვედადის დიდებაა. როდესმე მივხვდებით, რომ ნათქვამი და ნაფიქრი წარუშლელია. ასე მოდის კოსმიური არსი, რომელსაც მოაქვს ბედნიერი დრო, როცა შეგიძლია იფიქრო რაც გსურს და წარმოსთქვა რასაც ფიქრობ!!!

მუხლი 11. ყოველი ადამიანი მოვალეა დაიცვას საკუთარი სამშობლო, – ეს მისი წმინდათა წმინდა ვალია და ამასთან ერთად უნდა იცოდეს ისიც, რომ ბრძოლა სამშობლოსათვის არასოდეს მთავრდება. ბრძოლის ველია ყველგან სადაც კი უმეცრებაა და სიცრუე. ასეთ დროს გვმართებს შეუპოვრობა და სიმამაცე, რადგან ხშირად ხალხების ბედი სწორედ ასეთ ბრძოლებში იჭედება. ნათლის ნებისმიერი გამარჯვება, – ამაღლებული აზრის ნაყოფია.

მუხლი 12. ყოველი ადამიანი ვალდებულია კარგად იცოდეს საწყისი, რომელმაც ჩამოაყალიბა მისი განსხვავებული და განუმეორებელი ეროვნული ხასიათი და ამ საწყისზე დაყრდნობით გააღვივოს ხელოვნებისადმი და მწერლობისადმი საკუთარი მისწრაფება. ჯერ როგორც მაყურებელმა ან შემფასებელმა, შემდეგ როგორც სულიერი საგანძურის შემოქმედმა, რომელიც სრულყოფს ცხოვრების ფორმებს, აღამაღლებს ადამიანებს, მათ გემოვნებასა და გონებას. ცხოვრების ფორმა ხომ სხვა არაფერია, თუ არა ერის სულიერი ანარეკლი.

მაშ ასე, ერის სულიერი ამაღლებისათვის ვეძიოთ ნათლის ფორმები და “ნუ შეგვაშინებს ნათლის სიმცირე, რამეთუ დიდია ძალა მისი.”

მუხლი 13. ყოველი ადამიანი ვალდებულია წინ აღუდგეს საკუთარი და სხვა ხალხის ღირსების შეზღავანას, მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნამკვირვებელი მხარის ეროვნულ ხასიათთან სრული გაიგივების მცდელობას. ყოველი ადამიანი ვალდებულია ამოიცნოს გმირობა ერის ყოველ-დღიურობაში სრულქმნილებისათვის ბრძოლასა და სწრაფვაში, რადგან ბრძოლა გმირისა და გმირობის გარეშე შეუძლებელია. ერს კი საკუთარი გმირისადმი თაყვანისცემა და სიყვარული ესაჭიროება, როგორც სულიერი საზრდო.

მუხლი 14. ყოველი ადამიანი ვალდებულია სრული პასუხის მგებლობით, ბრძნული თვალთახედვით მიუდგეს ქორწინებას, როგორც სულიერი ერთობის, სტიქიათა შერწყმის აქტს, ამ უკანასკნელთა შეთავსებადობის გათვალისწინებით. მხოლოდ სტიქიათა შეთავსების დროს იძლევა ქორწინება სასურველ შედეგს, – სულიერად გაწონასწორებულ შთამომავლობას. სხვა შემთხვევაში გარდაუვალია უნაყოფობა

და გადაშენება. ასეთი იქნება სტიქიათა კანონების იგნორირების შედეგი. დადგა დრო, როცა ამ კანონების გათვალისწინება წესად უნდა იქცეს ყველასათვის, რადგან დღეს, ამ კანონის დარღვევის გამო, სახეზეა მილიონობით ადამიანის მოუწესრიგებელი და უმართავი სულიერი ცხოვრება...

სწრაფვა და სიყვარული საპირისპირო საწყისთა მატარებელ ადამიანთა შორის, უნდა აღვიქვათ როგორც კოსმიური კანონის, ყოვლისმომცველი სიყვარულის გამოხატულება და მასში ვეძიოთ ის გამოვლინება, რაც მართავს შემოქმედებას და მაღალ ემოციებს. სწორედ ამ შემოქმედების გაღვივებასა და გაღვივებაშია ხელოვნების დანიშნულება.

შემოქმედების წყარო და მისი ძალა, – სიყვარულშია.

მუხლი 15. ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია ამოიცნოს, დააფასოს და დაიფაროს ნიჭი, სათუთად მოუაროს მას, რადგან დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა სულიერი საგანძურის მფლობელთა მიმართ. დანაშაულია არ დავინახოთ, არ შევიცნოთ ნიჭი, რადგან იგი ამ სულიერი განძის მატარებელ ადამიანს ეძლევა მთელი კაცობრიობის გეგმილზე განფენისათვის. შეუუქმნათ ნიჭს ყველა პირობა თვითრეალიზაციისათვის. ძლიერი ეკონომიური კრიზისის უამსაცკი ვიზრუნოთ სულიერებაზე, რათა გავეცალოთ მძიმე მატერიალურ შეჭირვებას, რომელიც უძლურია სრულფასოვანი, ჯანსაღი სულიერების წინაშე.

მუხლი 16. ყოველი ადამიანი ვალდებულია აღზარდოს საკუთარ თავში გამბედაობა, სიმტკიცე, შემართება, მოქმედების სურვილი და უნარი, მისწრაფება ეპოქის უმთავრესი მიმართულების, – ურთიერთთანამშრომლობის გაფართოვებისაკენ. ყოველი ადამიანი ვალდებულია საერთო საკაცობრიო ჰარმონიის ძიებაში

თანამშრომლობა გადააქციოს ცხოვრების წესად და განავრცოს იგი ყველგან და ყველაფერში.

თანამშრომლობა არის ცხოვრების საფუძველი. მხოლოდ ყოველსმომცველი კოოპერაცია განაპირობებს სახელმწიფოსა და ხალხის მიერ შექმნილის მიზანშეწონილ შეფარდებას. თანამშრომლობა ემყარება ოთხ ძირითად საფუძველს:

1. ქალი უნდა გახდეს კულტურის მცველი;
2. შესაფერისი ადგილი უნდა მოიპოვოს ხარისხოვანმა აზროვნებამ;
3. შემოქმედებითი აზრი უნდა გაცნობიერდეს, როგორც ცხოვრების გარდამქმნელი ძალა;
4. კომპრომისი უნდა გახდეს საპირისპირო პოზიციათა გამაწონასწორებელი პრინციპი.

მუხლი 17. ყოველი ადამიანი ვალდებულია აღზარდოს საკუთარ თავში პასუხისმგებლობის გრძნობა და განავითაროს იგი დაუსრულებლად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ არა მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, არამედ მათ წინაშეც, ვისაც ჩვენს შემდეგ ვტოვებთ. გაცნობიერებული პასუხისმგებლობა ცხოვრების უსასრულოდ ლამაზი ფენომენის წინაშე საფუძვლად დაედება ჩვენს ყოველ სიტყვას, აზრს, მოქმედებას. შევიკავოთ თავი მდაბალი აზრებისგან. მცირედი თავშეკავებაც კი დადებით შედეგს მოგვიტანს. რატომ უნდა ავაგსოთ სიერცე მდაბალი აზრებითა და სიტყვებით? შეგვაძრწუნოს ჩვენს მიერ გამოთქმულმა ყოველმა მდაბალმა აზრმა. ასე უნდა ჩამოყალიბდეს აზროვნების ხელოვნება, — ეროვნული სიჯანსაღის ერთადერთი ფუნდამენტალური საფუძველი.

მუხლი 18. ყოველი ადამიანი ვალდებულია შეგნებულად გამოიმუშავოს მოთმინება და შემწყნარებლობა, — ყველაზე ძნელად

მისაღწევი და ამიტომაც ადამიანის ხასიათის ყველაზე დასაფასებელი თვისებები.

მუხლი 19. ყოველმა ადამიანმა უნდა გაიცნობიეროს სიცოცხლის საფუძველი, — გული. გული და გულითაღობა უპირველესი მიზანია ცხოვრებისა, რადგან გონება თავისი განვითარებით იმდენად შორს წავიდა, რომ დახვეწა და განავითარა არა მარტო ცხოვრება, არამედ ძმათა სისხლისღვრის მექანიზმებიც, და გამოამწყვდია გული გულგრილობისა და გაუცხოების მარწუხებში.

გულისა და გონების ჰარმონია, გულის გონება, — ცივილიზებული ეპოქის ერთადერთი ღირსეული მონაპოვარია.

მუხლი 20. ყოველი ადამიანი ვალდებულია გაიცნობიეროს საკუთარი თავი როგორც მოაზროვნე არსება, რათა ჩაკლას საკუთარ თავში კაცთმოძულეობა, ალაგმოს მტრობა ყველგან და ყველაფერში, რადგან შეუძლებელია იყო გაბოროტებული და არ მოწამლო საზოგადოების ცნობიერება საზიზღარი, ბოროტი აზრებითა და მოქმედებებით.

მუხლი 21. ადამიანის უდიდესი მიზანია მარადიული სწრაფვა ახლებური აზროვნებისაკენ, ცნობიერების და აზრის განახლებისაკენ, რადგან ახლებური აზროვნება ეკონომიური, სამართლებრივი და მრავალი სხვა თვალსაზრისითაც ჩიხში შესული საზოგადოებრივი ცნობიერების განკურნების ერთადერთი საშუალებაა. მის გარეშე არ არსებობს არცა მომავალი და არცა ევოლუცია.

მუხლი 22. ჩვენი ვალია აღვზარდოთ ბავშვებში ნათელი ოცნება და სიკეთის წარმოსახვისა და სიკეთის ქმნის უნარი, რაც წმინდა ლოცვის ტოლფასი მოვლენაა. ვალდებული ვართ მოვუაროთ მათ

სულებს ისე, როგორც მებაღე უფლის ყვავილებს, რათა მათ თვალეში არასოდეს არ ჩაქვრეს სინარული, ნათელი ღიმილი, მათში რეალიზებული ჩვენდამი რწმენის, იმედისა და სიყვარულის ნიშანი.

მუხლი 23. ყოველი ადამიანი უნდა ისწავდეს ბოლომდე მიიყვანოს თავისი საქმე და არაფერი გააკეთოს სანახევროდ. ხარისხიანად და დროულად დაასრულოს კარგი საქმე და მტკიცედ თქვას უარი ცუდ საქმეზე. არავის და არაფერს შეუშინდეს ამ ნათელი პრინციპების ცხოვრებაში გატარებისას, გარდა საკუთარი სინდისისა.

მუხლი 24. ყოველი ადამიანი ვალდებულია არ დათმოს ჭეშმარიტება და განთავისუფლდეს სხვისი აზრის ტყვეობისაგან, რომელიც უხილავი ბორკილებით ბოჭავს მას და აშორებს რეალურ ჭეშმარიტებას. სხვისი მცდარი აზრის ტყვეობიდან თავის დაღწევას მოაქვს საკუთარი ვალის აღსრულების თავისუფლება თანახმად პრინციპისა: “ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა რაგინდ ვინ რა გივაზიროს”

მუხლი 25. ყოველი ადამიანი ვალდებულია ესმოდეს ის, რომ ყველანი განვისჯებით ჩვენი საქმეებით. ამიტომ ჩვენი ზნეკეთილობის დასტურად საჭირო რიღია მრავალრიცხოვან მოწმეთა მხარდაჭერა, არამედ მოვალეობისადმი ჩვენი პირადი მაგალითი წარმოადგენს ჩვენი ერთგულების ერთადერთ და უტყუარ დასტურს.

მუხლი 26. ყოველი ადამიანი ვალდებულია დამცირებისა და დაკნინებისაგან დაიფაროს სულის უზენაესი გამოვლინება, – კულტურა და გონიერება, რადგან კულტურა, ანუ ყოველივე ის, რაც საფუძველს უყრის თვით ცხოვრებასა და შემოქმედებას, – სულიერი და გონებრივი განვითარების

მდებარე საფეხურზე ნადგურდება და ეს უკვე ეჭვქვეშ აყენებს სიცოცხლის ერთად ერთ და უზენაეს საყრდენს, – ცოდნას. ეს უდიდესი ფასეულობა იზრდილება წარმავალი ფასეულობებით, იბღალბება გონება და ზნეობა, კნინდება აზროვნება და შეგნება ველურ ღონემდე ეცემა. ვიცოდეთ, რომ მცირე ცოდნა ძირითადად უარმყოფელია და შემზარავად დოგმატიური.

მუხლი 27. მოვალეობის აღმსრულებელმა უნდა შეიძინოს ისეთი იშვიათი თვისება, როგორცაა ნდობა, რადგან უნდობლობა ქმნის ძირითად სიძნელეებს თანამშრომლობის გზაზე. ნდობა სუფთა გულის მაჩვენებელია.

ნდობის გარეშე შეუძლებელია წინსვლა და განვითარება, რომელიც მეგობრულობისა და გულისხმიერების მეშვეობით ღრმავდება.

მუხლი 28. ყოველი ადამიანი მოვალეა ადამიანებთან საკუთარ ურთიერთობებს, საფუძველად დაუდოს ტოლერანტობა, ანუ სხვათა აზრისადმი პატივისცემა. ვალდებულია გამოიჩინოს ტოლერანტობისათვის საჭირო უსაზღვრო მოთმინება და შემწყნარებლობა საერთო საკაცობრიო ოჯახის ყველა წევრის მიმართ. ყოველი ადამიანი ვალდებულია ცხოვრებაში ეტრფოდეს არა ფუჭ ოცნებებს, არამედ კონკრეტული იდეალების ხორცშესხმას და სიცოცხლის კონკრეტული იდეალებით გამდიდრებას.

დროის მიერ ნაკარნახევი ამოცანების შესრულებისას ნუ შევუშინდებით დაბრკოლებებს. ამ მუხლით აღნიშნული იდეის შესრულებაზე ჩვენი და, შესაბამისად, კაცობრიობის მომავალია დამოკიდებული. ყოველივე ეს გადაწყვეტს ადამიანის ცხოვრებაში როგორც ეთიკური ნორმების ამუშავებას, ასე სოციალური და ზნეობრივი იდეალების ჰარმონიული შერწყმის პრობლემასაც.

მუხლი 29. ყოველი ადამიანი ვალდებულია საკუთარ თავში განავითაროს ალთრუიზმი, როგორც შინაგანი სრულყოფის გარდაუვალი ეტაპი. ის ვინც ცხოვრობს სხვათათვის, რჩეული ხდება დედამიწის ბინადართა შორის. ასეთი ადამიანისათვის სიხარულის ერთადერთ წყაროდ მარადიული ქმედება, მარადიული გაღება და მარადიული შეცნობა იქნება.

მუხლი 30. ყოველი ადამიანი მოვალეა მტკივნეული, არაჯანსაღი სოციალური მოვლენების დროს გაიცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. იაზროვნოს და იმოქმედოს დინამიურად, ანუ ნგრევა შენებისთვის გამოიყენოს, დამარცხება—გამარჯვებისთვის, დაიმუხტოს ნგრევისა და დამარცხების ენერგიით და გარდაქმნას იგი თვისობრივად პოტენციურ, აღმშენებლობით ენერგიებში.

ასეთ ვითარებაში ფერმკრთაღდება ისეთი ძირითადი ცნება როგორცაა პროფესია. ვინც ვერ შეძლებს პროფესიის შეცვლას, ფასეულობათა გადაფასებას, აღმოჩნდება მატერიალური და ზნეობრივი სიძნელეების წინაშე და ტვირთად იქცევა საზოგადოებისათვის. ამიტომ მასობრივი განსახლება ქალაქებიდან სოფლად,—ქალაქებში აუცილებელი ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნებით, — გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იქნება.

მუხლი 31. ყოველი ადამიანი მოვალეა შეიგრძნოს სილამაზე. ადამიანი მისი შეცნობისა და შეგრძნების გარეშე კარგავს ადამიანზე თავის ზემოქმედების ძალას რის გამოც ცხოვრებას შეუმჩნევლად ეუფლება სიმახინჯე. სილამაზის შეცნობა ანთებს ადამიანის გულში იმ ნაპერწკალს, რომელიც განადიდებს მას. სილამაზის შეცნობა გადაარჩენს მსოფლიოს.

მუხლი 32. ყოველი ადამიანი მოვალეა სრულყოფის ცხოვრება, დაამშვენოს იგი, შემატოს სილამაზე ყველაფერს, სადაც ეს შესაძლებელია ებრძოლოს სიმახინჯეს, გარდასახოს იგი და მიუახლოვოს სრულყოფილებას. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ მასწავლებელსა და ექიმზე (რადგან ექიმი იგივე მასწავლებელია), როგორც მოძღვარზე და სულიერი სილამაზისა და სიჯანსაღის აღმზრდელებზე. ნათქვამია: უბადრუკია ერი, რომლის მასწავლებელიც შეჭირვებულია.

მუხლი 33. მოვალეობის აღმსრულებელ ყოველ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ იგი იმ ადამიანთა ერთობაში შედის, რომელიც მზად არის მიიღოს ნათლისა და ჭეშმარიტების მქადაგებელი მესია. მესიას ადამიანთა სულები მზადყოფნაში დახვდებიან მისი უწყების მისაღებად, და მზად იქნება ენაც, რომელიც შესძლებს გამოხატოს ახალი ჭეშმარიტება. იგი მიაგნებს მის მომლოდინე ერთობას, რომელიც დაძლეეს დაბრკოლებებს მესიის გზაზე.


პ ო ს ტ ა მ ბ უ ლ ა

„აჰა ბნელი გაგითენე, მზემან მეტი რაღა გიყოს“
/რუსთაველი/

ვინაიდან მოვალეობის აღმსრულებელ ადამიანთა ცნობიერების განვითარების იდეა გარდაუვალს ხდის ვალისა და მოვალეობის ცნების დახვეწასა და ამაღლებას, რადგან მესიის მოსვლასთან ერთად გამოცხადდება მოვალეობის ღვთაებრივი პრინციპები, ვაცხადებთ, რომ:

ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის წარმოდგენილი პროექტი ღია დოკუმენტია... ღიაა მოვალეობის იდეის შესაბამისი ნორმებისა და პრინციპების უსასრულო სრულყოფისათვის.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა



ჯ უ ა ლ - ქ შ უ ლ ი

ამონარიდები წიგნიდან „ბეთლემიდან გოლგოთამდე“

„ჩვენ ვეძებთ ურყევ რწმენას იმაზედ, რომ ისინი, ვინც ჩვენ გვიყვარს და ვისაც ვაფასებთ, დაკარგულია არ არიან ჩვენთვის“.

ადამიანის სიკვდილისადმი დამოკიდებულების ანალიზი, სიკვდილისა და უკვდავების მიმართ, ხშირად გონების განათლების ხელშემწყობია, რადგან ათავისუფლებს მას (გონებას) გაურკვეველობისა და ბუნდოვანებისაგან რომლებიც წარმოიშებიან შიშის, ანუ, მენტალური ინერციისა და გონების არეულობებისაგან.

როგორი გზით ვგებულობთ ჩვენ იმას, რომ სიკვდილის პროცესი იწვევს ჩვენს გონებაში გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენთვის, მგრძნობიერ

არსებათათვის, საბედისწერონი აღმოჩნდებიან და სრულიად უაზროსა და უშედეგოს ხდიან აზრის განვითარებისა და შეგნების ყველა წინა ძალისხმევას?

ქრისტეს აღდგომის სასწაული იმდენად, რამდენადაც ეს მის პიროვნებას ეხება, იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ იგი არსებითად იგივე პიროვნება იყო, მხოლოდ დამატებითი თვისებების მქონე გახლდათ.

ხომ არ შეიძლება, რომ ჩვენც იგივე დაგვემართოს? ხომ არ შეუძლიან სიკვდილს უბრალოდ მოგვაცალოს შეზღუდვები, ფიზიკური გაგებით, რის შემდეგაც ჩვენ დავრჩებით ამაღლებული მგრძნობელობითა და ფასეულობათა უფრო ნათელი შეგრძნებებით?

ცხოვრებამ ჩამოგვაყალიბა ჩვენ და მოგვაქცია ფორმის გარკვეულ და კონკრეტულად გამოხატულ გარეგნობასა და ხარისხში, და ეს უკანასკნელნი, სწორად თუ არა სწორად, ადამიანის ცხოვრების თვალსაზრისით, შეადგენენ იმას, რაც რეალურ ადამიანსა და მის “მე“-ს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენში არის რაღაც, რაც უკუაგდება ჩვენს ფიზიკურ ფორმასთან საბოლოოდ გაიგივებას.

ინტუიციური, არსებითი “მე”, ყოველთვის მდგრადია, არ ღებულობს განადგურებას და მტკიცედ სწამს, რომ ძიება და მიზანი ის გაცნობიერებული ფასეულობანია, რომლებსთვისაც ჩვენ ვიბრძვით და, სადღაც, ოდესღაც და რაღაცნაირად ისინი უნდა გვიდასტურებდნენ იმას, რომ იმ ღირებულებებს წარმოადგენენ, რომელთათვისაც დაიხარჯა დრო და შრომა. ნებისმიერი სხვა შეხედულება ადასტურებს არსებობის გონივრული გეგმის სრულ უქონლობას და, ამასთან ერთად, მოაქვს სრული უიმედობა.

ზუსტად ფასეულობათა ხანგრძლივი ფლობა და შენარჩუნება ყოველივე იმისა, რაც ღირსია დახარჯული ძალისხმევითა, ღვთაებრივი პროგრესისა, შემოქმედებისა და სხვათა დახმარების გაწევის უნარისა, როგორც ჩანს, შეიცავენ უკვდავების პრობლემის გასაღებს იმათთვის, ვინც მიაღწია იმ წერტილს, სადაც შესაძლებელი ხდება თანმიმდევრული ნათელი აზროვნება.

ქრისტეს მთელი ისტორია დასტურია ამისა. მთელი თავისი სიცოცხლით იგი ერთგულად და თავდავიწყებით ემსახურებოდა თავის თანამოძმეებს და ამით დაამტკიცა რომ, თავისი ევოლუციის იმ წერტილს მიაღწია, სადაც მას გააჩნდა ის რაღაც, რისი მასში არსებული ერთმთლიანის სასიკეთო საქმიანობისათვის თავის შეწირვა – შესაძლებელი ხდებოდა.

ეს აზრი ბადებს კითხვას: სახელდობრ რა არ კვდება ჩვენში? ჩვენი არსებას რომელი ნაწილის უკვდავებას უნდა ვეძებდეთ? რა

არის ის, რაც ჩვენში სიმტკიცის საფუძველს წარმოადგენს?

უეჭველია, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ მიისწრაფის ფიზიკური სხეულის ადღგომას და არც იმ სურვილითაა ანთებული, რომ მას აკავებდეს და ამიწიერებდეს ამჟამად არსებული, მეტად შეზღუდული ფიზიკური გამტარი და, სახელდობრ კი, ზუსტად ასეთ შეზღუდულ გამტარებში იმყოფება ჩვენთაგანის უმეტესობა. მისი ღირებულება, როგორც ჩანს, არ შეესაბამება ადღგომის გამოცდილებას და უკვდავების ნობათს. და ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვწადიან რომ იგივე ფსიქიკურმა ბუნებამ (ყველა მისი გარემო პირობების მიმართ, განწყობებისა, შეგრძნებებისა და მგრძნობელობათა რეაქციების სიმრავლემ), კლავ ხელში ჩაიგდოს ჩვენზე ბატონობის უფლება.

უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ ახარებს ძველი წარმოდგენები მეტის მეტად ტკბილ ზეცაზედ, სადაც ჩვენ თეთრ სამოსელში გამოწყობილები ვატარებთ დროს ფსალმუნების სიმღერებში და რელიგიურ თემებზე ტკბილ საუბრებში. ჩვენ უკვე გავცდით ამ იდეებს და თავად ქრისტეა ყოველივე ამის მამხილებელი. იგი აღსდგა მკვდრებით და შევიდა აქტიური და გაძლიერებული მსახურების ცხოვრებაში.

როდესაც ადამიანის ცხოვრება იძენს შინაარსს, იგი მზადაა გაჰყვეს განწმენდისა და განსაცდელის გზას. ადამიანს შეუძლიან განვლოს განწმენდი წყლები და მიაღწიოს გარდასახვის მთის მწვერვალს, სადაც ჭეშმარიტი ფასეულობანი აელვარდებიან მთელი თავისი ბრწყინვალეობით. როდესაც იგი ამ ამბავსა და ამ ამბავსა გამოცდილების მომენტს მიაღწევს, და როდესაც ის, რაც მას ღირებული გააჩნია, აღიარებული იქნება ღმერთისაგან როგორც მათზე დახარჯული ძალისხმევის ღირსი, აი მაშინ და მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება ის მზად იმისათვის, რომ დადოს საკუთარი სიცოცხლე მსახურებისა

და მსხვერპლის საკურთხეველზედ.

ასეთია მთელი სრულყოფილების პროცესის ფუძემდებლური იდეა, რადგანაც ამჟამად არსებობს რაღაც, რაც ღირსია მსხვერპლად გაღებისა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მოგეჩვენოთ ფიზიკურ ფასეულობათა დასასრულად, არსებითად კი ადგილი ექნება ფასეულობათა ტრიუმფისა და მათი უკვდავების დემონსტრირების მომენტს, რამეთუ არ შეიძლება მოკვდეს ის ფასეულობა, რომლის ღვთაებრივი ფარული სილამაზის გახსნასაც ემსახურება მთელი სიცოცხლის გამოცდილება და **განდობა**. იგი თავისი არსით უკვდავია და უნდა იცოცხლოს. **აი ესაა სხეულის ჭეშმარიტი აღდგომა.**

სხეული, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, შედარებით ნაკლებად ღირებულია, ჩვენი განწყობებისა და მენტალური რეაქციების საერთო ჯამი არავისთვის არანაირ მნიშვნელობას არ წარმოადგენს, გარდა თუ არა ისევე და ისევე ჩვენთვის; ის გარემო, რომელშიდაც ჩვენ ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ ეჭვგარეშეა, რომ არ შეიცავს საკუთარ თავში არაფერს ისეთს, რაც გაამართლებდა მის უსასრულო გაგრძელებას.

უსასრულოდ ვრცელი მარადიულობის კონცეფცია, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავთან ატარებ, უმეტესი ჩვენთაგანისათვის არანაირ მიმზიდველობას არ შეიცავს. და მაინც, ჩვენი “მე”-ს რომელიდაც ასპექტს მძაფრად სურს უკვდავება და მარადიულობის შეგრძნება. ჩვენი “მე”-ს დროში უსასრულო გაგრძელებამ, აზროვნებაში დიდ არეულობამდე მიგვიყვანა.

ჩვენ ვეძებთ დარწმუნებას იმაში, რომ ვინც ჩვენ გვიყვარს და ძვირფასია ჩვენთვის, არ არიან დაკარგულნი ჩვენთვის. ჩვენ ვცდილობთ მათთან ერთად გავიაზროთ ის ბედნიერება, რომელშიდაც იქნება უფრო ჭეშმარიტი ფასეულობანი, ვიდრე ყოველივე ის რასაც ჩვენ განვიცდიდით დედამიწაზე.

ჩვენ მძაფრად გვსურს დროისა და სივრცის განზომილებაში იმ მეტად ნაცნობი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც ჩვენ გვიყვარს და ასე ვაფასებთ. ჩვენ გვსურს კომპენსაციის მიღება ყოველივე იმისათვის რაც შემოგვიტანია ცხოვრებაში და იმის გაცნობიერებაც, რომ ყველაფერს თავისი მიზანი გააჩნდა და იგი ტოლფასია მასზე დახარჯული ძალისხმევისა.

აი ზუსტად ეს ძლიერი სურვილი, ეს რწმენა, ეს გაბედულება არ გატეხვისა დგანან ყოველი მიღწევის უკან და წარმოადგენენ იმ ამგზნებ იმპულსს, რომელზედაცაა დამოკიდებული ყოველი ჩვენი ძალისხმევა. **სლკრატე** მიუთითებდა ამ ძირითად არგუმენტზე, რომელიც უკვდავების ასე სასარგებლო არგუმენტს წარმოადგენდა, ოდეს ბრძანებდა, რომ **„არავინ არ იცის რა არის სიკვდილი და ხომ არაა იგი სიკეთეთა შორის უღიადესი. და მაინც, იგი გვაშინებს ისე, თითქოს იგი უღიდესი ბოროტებაა... როდესაც სიკვდილი უახლოვდება აღამიანს, მასში განიფანტება მოკვდავი და ის კი, რაც უკვდავია და უღრწნელი, სცილდება სხეულს ხელუხლებელი“**.

სამი აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭეშმარიტი ღირებულების პრობლემათა განხილვისას.

პირველი აზრი შესდგება იმისაგან, რომ უკვდავება – ესაა შენარჩუნება იმისა, რაც ჩვენთვის ჭეშმარიტად ღირებულია. ჩვენ უნდა მივადწიოთ, და სინამდვილეშიც მართლაც ვადწივრეთ იმას, რასაც დაბეჯითებით ვითხოვთ, როდესაც ჩვენ მივისწრაფით იმისაკენ, რაც თავისი არსით მარადიულია, მაშინ ჩვენ ვადწივრთ მარადიულ იმ სიცოცხლეს, რომელიც სხეულის შეზღუდვებისაგან არის თავისუფალი.

დინ ინგი გვეუბნება ჩვენ, რომ „რამდენადაც ჩვენ შეგვიძლიან აბსოლუტურ ფასეულობებთან საკუთარი თავის გაიგივება, იმდენადვე უზრუნველყოფილია

ჩვენი უკვდავებაც”. მაშინ ის, რისკენაც ჩვენ ჩვენი უზენაესი წუთების დროს რეალურად მივისწრაფით და ასევე იმ დროს, როდესაც ჩვენ თავისუფალი ვართ ჩვენი ემოციური ბუნების შეცდომებისაგან, მაშინ, ზუსტად მაშინ, ყოველივე ეს განსაზღვრავს ჩვენს უკვდავ სიცოცხლეს.

შესაბამისად იბადება კითხვა იმის მიმართ, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ფასეულობათა შეგრძნება გამრუდებულია ან დროებით არც კი არსებობს. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობამ, მილიონობით ადამიანი რეინკარნაციის აღმოსავლური დოქტრინის მიღებამდე მიიყვანა.

ქრისტიანს შეუძლიან სიკვდილი მიიჩნიოს ხელახალი აღზრდისა და განვითარების ადგილის შესასვლელ კარად, რომელსაც იგი „განსაწმენდელს” უწოდებს, და იქ განწმენდის პროცესი გრძელდება; აღმოსავლეთში შეუძლიათ სწამდეთ ის, რომ ჩვენ ისევ და ისევ ვბრუნდებით ამ დედამიწაზე, ვიდრე არ მივალწვეთ სრულყოფილებას.

მიზანი ერთი და იგივე რჩება. განზრახვები ემთხვევიან ერთმანეთს. მხოლოდ სკოლა სხვა და სხვა ადგილებში იმყოფება და, შესაბამისად, ცნობიერებაც სხვა და სხვა სიტუაციებში ვითარდება. ეს არის და ეს.

სხეულში სიცოცხლე, – ესაა გამოცდილება და გამოცდაც ერთდროულად; სიკვდილი კი განთავისუფლებაა და სულის დანიშნულებისაკენ დაბრუნება გამოცდების სხვა პირობებში, ან წმინდა გონების სამფლობელოში.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცნობიერი და ნებაყოფლობითი შესვლა მარადიულ ფასეულობათა სამყაროში და ვიშრომით იქ, რათა ამგვარად განვაძაბოთ საკუთარი თავი ცათა სასუფეველის მლქალაქებისათვის.

მეორე აზრი, რომელიც საჭიროებს განხილვას, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ძალისხმევა, მისი ბრძოლა

სასრული მიღწევისათვის, ღმრთის მისეული შეგრძნება, მისი თანდაყოლილი, ჭეშმარიტი, მუდმივი სწრაფვა უკეთესი პირობებისაკენ და საკუთარი თავის ფლობის ცოდნისაკენ, ისევე როგორც ბუნების სამყაროზე ბატონობისაკენ, ითხოვენ მიზნის არსებობას; სხვაგვარად, ყველაფერი რაც ორგველივ ხდება, უაზროა, ამაო და უნაყოფო.

ზუსტად საკუთარი თავისა და ბუნების ძალების ფლობამ, საკუთარი მიზნისაკენ განუხრელმა მისწრაფებამ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანეს ქრისტე მიზანთან და მიანიჭეს მას შესაძლებლობა ცათა სასუფეველის კარის გაღებისა და მკვდრეთით აღდგომისა.

ტანჯვის უკან მიზანი უნდა იდგეს. ადამიანის მთელი შემოქმედების უკან უნდა იგრძნობოდეს გარკვეული განზრახვა.

რასის ლიდერების იდეალიზმი შეუძლებელია იყვეს მხოლოდ ჰალუცინაცია.

ღმერთის გაცნობიერებას უნდა გააჩნდეს გარკვეული ფაქტიური საფუძველი.

უკვდავების ყველა თეორიის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ყურადღებას იპყრობენ მისი იმ მარადიული ინტერესისაკენ, თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ და, ასევე მისსავე იმ აზრებისაკენ, რომლებიც მის მომავალსა და უკვდავებას ეხებიან.

ქრისტე გარდაიცვალა და აღსდგა კვლავ. იგი ცოცხლობს და ზოგიერთი ადამიანები ამ თანამედროვე სამყაროში აღარ საჭიროებენ ამ ფაქტის მტკიცებულებებს.

მათ იციან, რომ იგი ცოცხალია, და ზუსტად იმიტომ, რომ იგი ცოცხლობს, ჩვენც ვიცოცხლებთ.

მოვიყვანთ ჭეშმარიტი აღდგომის მიმართ შემდეგ განმარტებას: აღდგომა – ეს მკვდრების საფლავიდან აღდგომა როდია, არამედ მხოლოდ საკუთარ თავზე დაკავებული ფიქრების სიკვდილიდან, არაეგოისტური სიყვარულით აღსავსე სიცოცხლისაკენ გადასვლაა ისევე, როგორც ინდივიდუალიზმის ეგოისტური სიბნელიდან,

საყოველთაო სულის სინათლისაკენ, სიცრუიდან – ჭეშმარიტებისაკენ, ყოფითი ცხოვრების მონობიდან – მარადიული თავისუფლებისაკენ გადასვლა.

„...როდესაც თანაგრძნობის მეუფენი სულიერად განანათლებენ დედამიწას და ზეცად გარდააქცევენ მას, მწირთათვის მაშინ გაიხსნება ის უსასრულო გზა, რომელიც სამყაროს გულს აღწევს. ადამიანი მაშინ აღარ იქნება უბრალო ადამიანი, არამედ იგი გასცდება ბუნების საზღვრებს და უპიროვნო, მაგრამ მაინც გაცნობიერებულად, ყველა გასხივოსნებულთან ერთმთლიანობით დახმარებას გაუწევს უზენაესი ევოლუციის კანონის აღსრულებას, რომლისთვისაც **ნირვანა – მხოლოდ დასაწყისია**“.

მესამე და დასკვნითი აზრი უკვდავებაზედ, რომელიც უნდა აღვნიშნოთ, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აღვსდებით მარადიული ცხოვრებისათვის და შეუერთდებით უკვდავებს, ოდეს ჯეროვნად მოვამზადებთ საკუთარ თავს იმისათვის, რომ **ქრისტეს** თანამშრომლები გავხდეთ ცათა სასუფეველში.

ზუსტად მაშინ, როდესაც ჩვენ მოვიშორებთ ჩვენივე ცალკე არსებულ ინდივიდუუმთა არსებობის გრძნობას და გავხდებით ერთიანობის ღვთაებრივად გამაცნობიერებელი არსებანი, რომელთა მხოლოდ ნაწილს წარმოვადგენთ ჩვენ, აი მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ვისწავლეთ ბოლო გაკვეთილი სიცოცხლისა და შეგვიძლიან “აღარასოდეს არ დავბრუნდეთ”.

ზუსტად პიროვნების სიკვდილისა და პიროვნული ცნობიერების დაკარგვის გვეშინიან ჩვენ და საშინლად ვუფრთხით მას. ჩვენ არ გვესმის, რომ როდესაც ცათა სასუფეველის ხედვას ვიძენთ, როდესაც მთელი სამყარო ბრწყინავს ჩვენს თვალწინ, აი ზუსტად ესაა ის ერთიანი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, და აი მხოლოდ მაშინ, ჩვენ აღარ ვამჩნევთ ჩვენს

პიროვნულ “მე“-ს და ვანებებთ მას თავს.

ასე და ამგვარად შეგვიძლიან ჩვენ განვმარტოთ **აღდგომა**, როგორც არსებობის მომავალში გაგრძელება იმისა, რაც ღვთაებრივ ასპექტს წარმოადგენს ჩვენში და გაერთიანებულია იმ ერთიან ცნობიერებასთან და სიცოცხლესთან, რომელსაც ჩვენ ვეძახით

ღ მ ე რ თ ს!!!

აი ამ სიცოცხლითა და ამ ცნობიერებითაა განმსჭვალული **ღმრთის** გამოვლინების ყოველი ნაწილი.

ბუნების ყოველმა სამფლობელომ ერთი მეორის მიყოლებით გაიარეს თავიანთი ევოლუცია. ერთი მეორის მიყოლებით ისინი მუდმივად და თანდათანობით ვითარდებიან მინერალური სამყაროს ცნობიერების ინერტული, ნელი და მძიმე რითმიდან და თანამიმდევრულად სულ უფრო მეტად და მეტად ზრდიდნენ თავის დაფარულ ღვთაებრივ ბუნებას მანამდის, ვიდრე არ იქნა მიღწეული ადამიანთა სამფლობელო, რომელშიდაც ცნობიერება გაცილებით უფრო მეტი ხარისხითაა წარმოდგენილი, და რომლის ღვთაებრივი გამომჟღავნებაც წარმოადგენს ღმრთის თავის თავის გამაცნობიერებელი და დამოუკიდებელი არსებას გამოხატულებას.

მინერალის ფორმების ავტომატური ცნობიერებიდან ღმრთის სიცოცხლემ გამოატარა სიცოცხლის სხვადასხვა ფორმების ცნობიერება მცენარეებიდან ცხოველთა ინსტინქტურ ცნობიერებამდე; შემდეგ ამისა მან განიცადა ევოლუცია ადამიანთა სამყაროში, რომელშიდაც ბატონობს მხოლოდ **თვითგაცნობიერება მანამდის, ვიდრე უფრო მაღალგანვითარებული წევრები ამ ადამიანთა სამფლობელოში, არ გამოიჩინენ ღვთაებრივისაკენ მიდრეკილებას.**

ესლა შეიძლება შევამჩნიოთ გაუბედავი

და ბუნდოვანი ნიშნები უფრო მაღალი სამფლობელოსი, რომელშიდაც თვით-შეგნება ადგილს დაუთმობს ჯგუფურ ცნობიერებას, და ადამიანი მიხვდება, გაიგებს და დარწმუნდება კიდევ, რომ იგი ერთარსია და ერთიანი მთლიანთან, კაცობრიობასთან და არა უბრალოდ, რაღაც თვითკმარი კონკრეტული პიროვნება. და აი მაშინ ღმრთის სრული განსხეულების ცხოვრება შეძლებს სრული გაცნობიერებით განხორციელებას მასში და მისგან. ღმრთის სიცოცხლე, – მისი სიცოცხლე ხდება და იგი (ადამიანი) აღმოაჩენს, რომ თურმე აღმსდგარა მარადიული სიცოცხლისათვის.

ამიტომ დღევანდელობაში და კაცობრიობის საქმიანობაში არსებული სინთეზის, თანამშრომლობის, შერწყმისა და გაერთიანების აშკარად გამოხატული ტენდენციის მიზანია ნათელჰყოს, რომ კაცობრიობამ მიაღწია განვითარებულ სტადიას.

სიცოცხლისათვის აღდგომა, რომელსაც ადასტურებდა ღმრთის ყოველი შვილი საუკუნეთა სიღრმიდან დღემდე. დღეს საყოველთაო შესაძლებლობადაა ქცეული. კაცობრიობა მთლიანობაში, დღეს პირისპირ შემობრუნდა სიცოცხლისაკენ, მისი ერთმთლიანობის დასტურს მუდმივად იძლევა დღევანდელობა, და მსოფლიო მაჩვენებლები (რომლებიც ერებისა და ცალკეული ჯგუფების მეშვეობით ვლინდებიან) უკვე სინთეზზე და თანამშრომლობაზე არიან ორიენტირებული.

უბრალოდ რომ ვთქვათ, თანამედროვე მსოფლიოს არეულობა – ეს ის პროცესია, რომელიც ადაპტაციისა და ორიენტაციის პროცესებს ახასიათებენ და ასევე იმ მოვლენებებს ახასიათებენ, რომლებიც ცვლიან და გადააწყობენ ადამიანის მთელს სასიცოცხლო პროგრამას. ამგვარად დღეს ხდება მსოფლიო პროგრამის გადაწყობა და ამის უშუალო შედეგს წარმოადგენს – ქალსი.

მაგრამ ახალი მიმართულება გარანტირებულია და ვერაფერი ვერ შეაჩერებს კაცობრიობის ამ მიმართულებით სვლას და ახალ სიცოცხლეში შესვლის პროგრესს. მაშასადამე მსოფლიო კრიზისი – ეს გადაწყობაა (Перестройка), სინთეზსა და შერწყმისაკენ მისწრაფება.

ახალი რასა უკვდავია და იძენს თავის ახალ ყოფიერებას, და მაინც, მიუხედავად ამისა, იგი იგივე რასაა ახალ, თავის მიღწევათა უფრო მაღალ წერტილში.

მაშინ დიადი სასოება (იმედოვნება) იმაში მაგომარეობს, რომ უკვდავ რასაში დაბადება შესაძლებელი ხდება აქ და ეხლა, და უკვე იყო განხორციელებული კაცობრიობის იმ წარმომადგენელთაგან, რომლებიც უკვე ეზიარნენ საკუთარ ღვთაებრიობას. ცათა სასუფეველი მიისწრაფის თავისი აღსრულებისაკენ. ქრისტეს სიცოცხლისა და სიკვდილისა, და აღდგომის მიზანი იმყოფება თავისი წარმატებული განხორციელების ზღურბლზე. ახალი სამფლობელო მოემართება ჩვენსკენ და მოაქვს თავისი ყოფა. მიმდინარეობს ბუნების მეხუთე სამფლობელოს მატერიალიზაცია და მისი უჯრედები უკვე ფიზიკურ სხეულებში ფუნქციონირებენ ჩვენს დედამიწაზე. ამიტომ, მოდით მივესალმეთ ბრძოლასა და ძალისხმევას თანამედროვე სამყაროში, რამეთუ ამის საყოველთაო ნიშანია –

აღდგომა!

* * *

მომავალი საზოგადოებრივი ცნობიერების ფუნდამენტალური საფუძვლები

I

ზოგადი ნაწილი

ცნობიერება წარმოადგენს ღრმა ცოდნაზე დაფუძნებულ ანალიტიკური აზროვნების ნაყოფს, რაც სამყაროს შემოქმედების, სინთეზის შესაძლებლობათა საშუალებას ანიჭებს ყოველ მოაზროვნე ადამიანს.

1. ცნობიერება განსაზღვრავს ადამიანის, როგორც აზროვნების ხარისხს, ასევე მის სოციალურ გარემოს.

2. ცნობიერების ძირითადი შინაარსი არის **სინდისი!**

3. **აბსოლუტური ცნობიერება არის აბსოლუტური სინდისი** და ნიშნავს **ღმერთს!**

ცნობიერებას გააჩნია ოთხი საფეხური:

– მითოლოგიური ცნობიერება, ანუ უშუალო ცოდნა და ეს გახლავთ უზენაესი ფილოსოფია;

– რელიგიური ცნობიერება – ცოდნა რწმენის დონეზე და ეს გახლავთ უმაღლესი ფილოსოფია;

– ექსპერიმენტალური, მეცნიერული ცოდნა, ანუ უმაღლესი რელიგიური და უზენაესი მითოლოგიური ფილოსოფიებისაკენ მისწრაფებული პრაგმატული ფილოსოფია. ფაქტობრივად მეცნიერება არის რელიგიისა და მითოლოგიის ჭეშმარიტებათა მოპოვების პრაგმატული იარაღი. მეცნიერება ისევე ბუნებრივად გადადის რელიგიაში, როგორც რელიგია მითოლოგიაში და მეცნიერებაში.

– უმეცრება, რომელსაც ახასიათებს პრიმიტიული სათავისო აზროვნება. იგი

მუდამ უკმაყოფილოა, ხედავს მხოლოდ ნაკლს, არასოდეს არ აღიარებს სიკეთეს და მიღწევებს, ამიტომაც იგი ყოველთვის ჩხუბობს, განიკითხავს, დაობს და თითქმის არასოდეს არ იცვლის შეხედულებებს, რადგან მუდმივად თავის მართლებაშია. იგი ყოველთვის უარჰყოფს და **საშინლად დღემგატურია.**

ყოველ ცნობიერებათა ერთობლივი სიმრავლე წარმოადგენს ჯამურ, ინტეგრალურ ცნობიერებას კაცობრიობისა, რომელიც, სამწუხაროდ, კატასტროფულად მდაბალია. ამიტომ იგი იოლად იმართება ბოროტი ძალებისაგან.

ინტეგრალურად მდაბალი ცნობიერება კაცობრიობისა თუ ერისა ქმნის იმ ფონს, რომელზედაც ასე მომხიბლავად ბრწყინავს ცალკეულ ადამიანთა **ნიჭი** და **გენია**. მხოლოდ ისინი, ყოველთვის ისე მცირერიცხოვანნი იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაინც ახერხებდნენ თავიანთი დროისა და ეპოქის მართვას, მათი თითებზე ჩამოთვლაც კი შეიძლება.

აი, ზუსტად ეს მდგომარეობაა საგულისხმო და უნდა შეიცვალოს, რადგან ერს ან კაცობრიობას დროზე თუ არ გამოუჩნდა ერის მამა ან საკაცობრიო ბელადი, ერი ან კაცობრიობა განწირულია, არადა ყოველი ადამიანი, თავისი არსით გენიოსია, წინამძღოლი და ბელადი, შემოქმედი, ხელოვანი და სხვა და სხვა მრავალი სიკეთე. აი მათი აღზრდა-განვითარება უნდა

გახდეს შეგნებული საზოგადოების მიზანი, რის მშენებლობასაც ისახავს მიზნად საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგია და ეს იქნება თვით ცხოვრების, კაცობრიობის ევოლუციის ამოცანის შეგნებაც და რეალიზებაც.

ნათქვამის ჭრილში საჭიროა გავაცნობიეროთ:

საზოგადოებრივი ცნობიერების ამადლების პროცესი, როგორც არა მხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობის, ეკონომიკის, ტერიტორიული მთლიანობის და ზოგადი კულტურის ამადლების პროცესი, არამედ როგორც კოსმიური მოთხოვნილება და აუცილებლობა ერთდროულად, რამეთუ დღეს მიმდინარეობს ადამიანთა რასების მონაცვლეობა. რასების მონაცვლეობა კი ყოველთვის ხასიათდებოდა ბუნების კატაკლიზმებით, მაგალითად: ატლანტიკის ეპოქა წყალმა გაანადგურა და ჩვენ კი, დღევანდელ კაცობრიობას, თუ ჩვენ ჩვენს ცნობიერებას არ ავიმადლებთ, ცეცხლით განადგურება გვემუქრება. რა თქმა უნდა, რომ ეს ყველაფერი არ მოხდება, თუ კაცობრიობა ცნობიერების გაზრდის აუცილებლობას მიიღებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერები და ქვეყნები არა მხოლოდ შიდა ეროვნულ და საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას მიიღებენ, არამედ იმასაც, რომ ჩვენი მაღალი ცნობიერება ესაჭიროება პლანეტასაც და კოსმოსსაც. ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისი საქმიანობის ზემოქმედება განეფინება როგორც კაცობრიობის, ისე პლანეტისა და კოსმოსის სულიერ სივრცეს. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ მდებარე ზეგავლენის შემთხვევაში ზიანდება კაცობრიობისა და პლანეტის ეკოლოგიური და სულიერი სივრცე. ამის უფლება კი არავის არა აქვს.

ჩვენ, საზოგადოებრივი ცნობიერების იდეის საზოგადოება, ადვსილნი ვართ სურვილით:

– გავათავისუფლოთ საქართველოს მომავალი თაობები და საქართველოს მომავალი ისტორია ჩაგვრის, მონობის, შიდა და გარე ომებისა და არეულობებისაგან, მოვსპოთ მათი წამოშობის ყოველი შესაძლებლობა ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამადლების გზით;

– ავადორძინოთ შოთას, სულხან-საბას, ვაჟასა და ილიას სულიერება, გავადრმავოთ და გავამდიდროთ ადამიანთა ცოდნა საკუთარი სულიერი და ფიზიკური სრულყოფილების აუცილებლობის შეგნებით, ეროვნული ტრადიციების მიხედვით;

– შევქმნათ შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ ყოველი ადამიანი თვითონ ქმნიდეს თავის მტკიცე ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას და დღევანდელობას. თავისსავე სრულყოფილების დონის შესაბამისად შექმნას კომფორტული სოციალური გარემო, ოჯახის, ერისა და საერთაშორისო მასშტაბებით;

– ხელი შევუწყოთ სოციალური პროგრესისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ყოველი მოქალაქისათვის;

– საბოლოოდ მივიყვანოთ საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი დემოკრატიული წყობილების განვითარება ერთადერთ ჯანსაღ სახელმწიფო წყობილებამდე, – არისტოკრატიულ წყობილებამდე, რომლის გვირგვინსაც არა უფლება, არამედ სამართალი წარმოადგენს.

ა მ მიზნით

– ჩვენ ყოველ პროგრესულ ძალებთან ერთად შევქმნით ყოველ პირობას იმისათვის, რომ მოსახლეობა მარადიულად ზრდიდეს თავის ცოდნას, თავის თვალსაწიერს და სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარს;

– რისთვისაც შევთავაზებთ საზოგადოების ყოველ წევრს, მთელს მოსახლეობას მაღალზნობრივ და იდეალურ პრესას, ლიტერატურას, სატელევიზიო გადაცემებსა და კინოს, თეატრალურ და სხვა ხელოვნებას.

საზოგადოებრივი ცნობებების იდეის პრინციპები:

1. ცნობიერება ადამიანის ფიზიოლოგიური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის ანარქკლია და წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალურ და კულტურულ დონეს;

2. მცდელობა შეიძინო მაქსიმალურად მიღწევადი მაღალი ცნობიერება, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა შორის ძირითად და უმნიშვნელოვანეს უფლებას;

3. ერებისა და ქვეყნების მაღალი ცნობიერება არის ის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის შედეგადაც მიიღწევა მსოფიოს უშიშროება და ქვეყნებისა და ერების სიმშვიდე, რადგან იგი განაპირობებს არა ნაწილობრივ და, მით უმეტეს მოჩვენებით თანამშრომლობას და ურთიერთობებს, არამედ სრულსა და ჭეშმარიტს, როგორც ცალკეულ პირთა, ასევე საზოგადოებათა და სახელმწიფოთა შორის;

4. სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში ნებისმიერი ქვეყნის მიღწევა, წარმოადგენს ყოვლადსაკაცობრიო ღირებულებას;

5. მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერება არათანაბრადაა განაწილებული და განვითარებული, და ეს ძალზედ დიდ პრობლემას წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ჰარმონიული განვითარებისათვის. მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის ზრუნვა მთელს მსოფლიოშია საჭირო;

6. პიროვნების ცნობიერების განვითარება და ამაღლება უპირველესი საზრუნავია, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება, პიროვნულ ცნობიერებათა ინტეგრალურ ჯამს წარმოადგენს და ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების დისონანსების გარეშე ჰარმონიული განვითარების ერთადერთი პირობაა და ამასთან ერთად გამორიცხავს ისეთ უმძიმეს მოვლენებს, როგორებიცაა გენოციდი, რასიზმი, შოვინიზმი, რე-

ლიგიური შეუწყნარებლობა და მრავალი სხვა სიმახინჯე;

7. დედამიწაზე ყოველი ერისა თუ ქვეყნისათვის ცნობიერების ამაღლების საშუალებათა ხელშეწყობით ერები და ქვეყნები ააშენებენ ფიზიკური, სულიერი და სოციალური კომფორტის მქონე საერთო გარემოს;

8. განათლება, საზოგადოებრივი აზრის დახვეწა და თვით ერებისა და ქვეყნებისათვის ცნობიერების ამაღლების საკითხში ხელშეწყობა - უმნიშვნელოვანესი პირობაა საზოგადოებრივი ცნობიერების გასაჯანსაღებლად, რაც ბუნებრივად მოხსნის ყვითელი პრესის, ნარკომანიის, ლოთობის, მეძავეობის, დანაშაულებრივი აზროვნების, მდაბალი სატელევიზიო გადაცემების და სხვა მდარე მიმართულებათა მიმართ მიდრეკილებებსა და მოთხოვნილებებს. ასეთნაირად განიღვენებიან ისინი ჩვენი ცხოვრებიდან სამუდამოდ;

9. ქვეყნები და მთავრობები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ხალხის მდაბალი ცნობიერების გამო, რამეთუ მხოლოდ მდაბალი ცნობიერება წარმოადგენს გენოციდის, ტერორიზმის, ფაშიზმის, ტრეფიკინგის თუ სხვა მრავალი სამარცხვინო მოვლენების საზრდოსა და საარსებო წყაროს;

10. სასურველია საზოგადოებრივი ცნობიერების იდეა განვაგრძოთ მთელს მსოფლიოში;

11. ჩვენი სრული პრინციპების ფუნდამენტალურ საფუძვლებს წარმოადგენს ორი, საკაცობრიო მნიშვნელობის დოკუმენტი:

- ა) ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია;
- ბ) 21-ე საუკუნის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

წარმოდგენილი იდეოლოგიის
ამოცანები

მსოფლიოში შექმნილია მრავალი უდიდესი მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობას წარმოადგენს ზრუნვა და ამაგი ცალკეულ ადამიანთაგან დაწყებული და დამთავრებული ერებითა და ქვეყნებით, რათა შექმნან მათთვის კომფორტული საერთაშორისო სამართლის, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაეროს, იუნესკოს და მრავალი სხვა ორგანიზაციების საქმიანობით, ცივილიზებული ურთიერთობის გარემო. მაგრამ მოვიდა დრო უკუგებისა და საკუთარი თავის პასუხისმგებლობისა, რადგან არსებითად მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანისა თუ ერისათვის გაცხადდეს უმარტივესი ჭეშმარიტება იმისა, რომ ერები და ცალკეული ადამიანები მთელს დედამიწაზე თვითონაც უნდა მოწესრიგდნენ და გახდნენ სასარგებლო სხვათათვის. აი, ამ ამოცანას ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგია.

იდეოლოგიის მისია

საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგიის მისია წარმოადგენს თავისუფალ, განვითარებად და დემოკრატიულ საზოგადოებაზე დაფუძნებული პიროვნული, ეროვნული და საკაცობრიო ღირსებებისა და ხელშეუხებლობის დამკვიდრება.

რაც იმას ნიშნავს,

რომ დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება ბუნებრივად გადავიყვანოთ არისტოკრატიულ ანუ უმაღლესი ცნობიერების მქონე მოქალაქეთა ერთობაში. პლატონის არისტოკრატიული სახელმწიფოს მოდელის თანახმად, ხელისუფალი ფილოსოფოსია და განათლებულ, სულიერად და მორალურად მოწესრიგებულ მოქალაქეთა ლიდერს

წარმოადგენს. მისიის ამ ნაწილს აქვს არა მხოლოდ ისტორიული შინაარსი (ბაგრატოვანთა სამეფო დინასტია), არა მხოლოდ ფილოსოფიური (პლატონის 4 ტიპის სწულ სახელმწიფო წყობილებათა არისტოკრატიულ წყობილებაზე გადაყვანა), არამედ ის რეალური შინაარსიც, რომელშიდაც დედამიწაზე ბნელეთის საბოლოო დამარცხებაც იგულისხმება.

დღეს, როდესაც საზოგადოება გაყოფილია ახალგაზრდებსა და „ასაკოვანთა“ ორ ბანაკად, საჭიროა ამ „უფარვის“ ასაკოვან ადამიანთა და ყოველი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე მოქალაქეთა სახელმწიფოს დონეზე მობილიზება. ცნობილია, რომ ახალგაზრდის დაკარგვა უზარმაზარი ტკივილია და ასაკოვანი, ბრძენი, ცოდნით სავსე ადამიანის დაკარგვის ასევე უზარმაზარ ზარალს ადამიანები ანგარიშს არ უწევენ. ასე, რომ, ის დიდი ზარალი, რომელსაც განიცდის საზოგადოება ცოდნის, სიბრძნის, გამოცდილების მქონე უფროსი თაობის ადამიანთა დაკარგვით, – აუნაზღაურებელი ზარალია ერისა და ქვეყნისათვის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, მათთვისაც, ვინც ამ ქვეყნიდან მიდის საკუთარი სიცოცხლის გამოცდილების საკუთარივე თავისათვის გამოუყენებლად. საჭიროა ცოდნის, ინტელექტის, სიბრძნის მატარებელი უფროსი თაობის ადამიანთა ერთიან ეროვნულ ინტელექტუალურ ბანკში – „საზოგადოებრივი ცნობიერების საგანძურის“ დროშის ქვეშ გაერთიანება.

საზოგადოებრივი ცნობიერების ინტელექტუალური ბანკის გაზრდას ჩვენ ვაპირებთ ყოველი 40 წელს გადაცილებული ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფით, ჯანსაღი ცხოვრების – „ოქროს საწმისის“ ვარჯიშთა მეშვეობით. ერთის მხრივ მათი გაჯანსაღებით საზოგადოება შეინარჩუნებს შრომისუნარიანთა მწყობაში დაბრუნებულ გამოცდილ, მცოდნე ადამიანთა უზარმაზარ არმიას, მეორეს მხრივ, თვით ადამიანთა

სიცოცხლეს ენიჭება ის ბედნიერება, როდესაც ცხოვრების გამოცდილება, ანუ სულიერი და ინტელექტუალური ძალა მათივე ბედნიერებას მოხმარდება.

აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ჩვენ ვზრუნავთ ყოველ ადამიანზე, მისი ღირსების, დღეგრძელობის და ხელშეუხებლობის პრობლემაზე. ჩვენ გავათანაბრებთ სახელმწიფოსა და პიროვნების არსებობის უფლებათა მნიშვნელობას ყველა იმ შემთხვევაში, სადაც პიროვნების ღირსებისა და ხელშეუხებლობის დაცვა საზიანო არაა სახელმწიფოსათვის. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცნობიერების იდეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, წარმოადგენს ყოველი მანკიერების წარმომშობ პირობებთან ბრძოლა იმიტომ, რომ კორუფციასთან და სახელმწიფოს სხვა სიმახინჯებთან ბრძოლა გაუთავებელი პროცესია და უამრავ მსხვერპლს, და ციხეებს ითხოვს, ამ დროს, წარმომშობი პირობების აღმოფხვრას მოაქვს მსხვერპლთა რიცხვის კლება და საბოლოოდ სიმახინჯეთა სრული შეწყვეტა. დროთა განმავლობაში ციხეებიც რა თქმა უნდა საჭირო აღარ იქნება. აი, ესაა ჭეშმარიტი პროგრამა ადამიანის ღირსებისა და მისი ხელშეუხებლობის პრაქტიკულ ჭრილში მისაღწევად. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი გამოცდილება ქალთა სასჯელ აღსრულებითი დეპარტამენტის კოლონიაში პატიმარ ქალთა ფიზიკური, მორალური და ზნეობრივი გაჯანსაღების გამოცდილება და ამ გამოცდილებას ფართოდ დავნერგავთ არა მხოლოდ ჩვენს ციხეებში, არამედ საერო განზომილებაშიც და მთელს მსოფლიოშიც.

ჩვენ უაზროდ როდი ვეძებთ სახელმწიფოს არსებობის ნაკლოვანებებს, არამედ ჩვენ უსასრულო ევოლუციას ვქადაგებთ როგორც პიროვნულ, ასე სახელმწიფოთა განვითარების ასპარეზზე, რადგან არ არსებობს რაიმე დასრულებული და

უძრავი. ზუსტად ამ შეცდომას ეწირებოდნენ განვითარების გარკვეულ დონეს მიღწეული სახელმწიფოები და ფორმაციები. ისტორია ამის ვრცელი დამადასტურებელი პანორამაა. აქედან გამომდინარე, უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია მასწავლებლისა და ექიმის მაღალი პროფესიონალიზმი და სახელმწიფოსაგან მათი მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ, ჩვენს რიგებში, ვიხმობთ ყველას, ვინც უკან არ იხედება, ვინც გულიდან ანგარიშსწორება და შურისძიება ამოიღო და ვისაც ერის მსახურება და პირადი სრულყოფილება დაუსახავს მიზნად.

ამ იდეოლოგიის ადამიანებს მოეთხოვებათ ათი ძირითადი თვისების საკუთარ პიროვნებაში აღზრდა:

1. უნდა მივიღოთ ჭეშმარიტება, სადაც არ უნდა შევხდეთ მას.
2. უნდა დავიცვათ ჭეშმარიტება გავრცელებულ საზოგადოებრივ შეხედულებათა, ცრურწმენათა, თუ დამკვიდრებულ დოგმათა შიშის მიუხედავად, ისე, რომ უშიშრად ჩავხედოთ თვალებში მოწინააღმდეგეს და ვთქვათ სიმატლე.
3. ყველგან და ყველაფერში შევიცნობდეთ და შევისწავლიდეთ სიცოცხლის პრინციპებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივაა ხილულად თუ უხილავად და უხსოვარ დროთა ფილოსოფიური სისტემების საფუძველს წარმოადგენენ.
4. არავითარი შეღავათი უმეცრების ტახტზე გამეფებულ შემცდარ და თვითმარქვია ავტორიტეტებს.
5. მტკიცედ აღვადგინოთ პატივისცემა ცილისწამებითა და ჭორით დამცირებული ტრადიციებისა და ჭეშმარიტებებისადმი.
6. ჩვენ გვწამს ადამიანის ცოდნით განვითარებული უსასრულო თვალსაწიერისა და მისივე ამოუწურავი ნიჭიერებისა.

7. ჩვენ ვაღიარებთ გულს, რომელიც ჯერ არავის არ გამოუვლენია ბოლომდე თავისი უსასრულო შესაძლებლობებით და ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია განვაავითაროთ ჩვენს გულში ახალი გრძნობები და უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ **ბუნებასთან** და **გამჩენთან**.

8. ჩვენ ურყევად და უყოყმანოდ გვწამს ადამიანის უკვდავი დიდი „მე“, რომელიც არის **ქრისტეს ცნობიერება** და კავშირი **მამა ზეციერთან**.

9. ჩვენ გვწამს, რომ **დმერთი** ადამიანში მისი დიდი „მე“-ს საშუალებით ვლინდება.

10. ჩვენ არაფრის არ გვეშინია, რამეთუ მოგვაქვს ჭეშმარიტება და ვაცნობიერებთ რა გააგებულ და გააფთრებულ წინააღმდეგობას უმეცართა მხრიდან, ვაწერთ ჩვენს ფარზედ:

MORITURUS
TE SALUTAT!



ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს

თავის დროს, ამ წერილით ბატონ ე.შეგარდნაძის პარლამენტს მივმართეთ... პარლამენტმა მაშინ ვერ მოიცავდა და, სამწუხაროდ, არც ზურაბ ჟვანიას არ დასცავდა... მომდევნო ხელისუფლებამ „ვერ მოიცავდა“ და საკითხი კვლავ გადაიდო. ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა: საქართველომ კიდევ ერთი, ჭეშმარიტად ეროვნული, ისევე არაპოლიტიზირებული და ულამაზესი გმირი, - **გიორგი ანწუსელიძე** შეიძინა, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაანახა ისტორიულად ცნობილი ქართველთა გაუტეხავი სული. ვსარგებლობთ შემთხვევით და მივმართავთ უკვე საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს, როგორც ამ პატარა წერილით, ასე ზ.ჟვანიას პარლამენტისადმი წინა წერილის გადმომისამართებით, რათა ეს ორი გრანდიოზული ფაქტი ერის ისტორიაში დაფიქსირდეს როგორც ჩვენს ისტორიაში, ასე ჩვენს ქალაქში აღნიშნულ

გმირთა ძეგლების დადგმით.

* * *

საქართველოს პარლამენტს

შეგნებული გქონდეს შენი მოვალეობა და არ შეასრულო, – ეს სილაჩრვა /კონფუცი/

საქართველომ უშეღავათო ქარცეცხლი, სამოქალაქო ომი, გადაიტანა. საქართველოს ახალი მომავალი დაიწყო და თუ ჩვენ, გუშინდელი დღის ანალიზი არ გავაკეთებთ და არ დავინახეთ ის ბიბლიური საგმირო საქმეები და ჩვენი წამებულები, ჩვენი ახალი დროისა და მომავლის ღირებულ საფუძვლებს ვერ შევქმნით, რადგან ხალხმა კარგად იცის რომ ყოველი საერო და სახელმწიფო მოვლენების შესაბამის შეფასებათა გარეშე, თუნდაც ნებისმიერად გრანდიოზული მოვლენა ერის თვალსა და ცნობიერებაში, სიგიჟისა და ფანატიზმის ელფერს მიიღებს. აღამიანები პრაგმატული იდეოლოგიის მსხვერპლნი ხდებიან და იღუპებიან მცნებანი *პატრიოტისა, გმირისა, შეწირულისა, წამებულისა* და მკვიდრდება მხოლოდ პიროვნული ინტერესების ფსიქოზი. როგორ შეიძლება უპასუხოდ დაიტოვოს თანამედროვე საქართველოს მიერ *გია აბესაძის შვილის მარადიული შეკითხვა: მამა ვინ იყო ჩემი, – გმირი? და თუ მამაჩემი გმირია, რატომ ვერ დაინახა იგი საქართველომ?..* და მთელი სიცოცხლის მანძილზე გაუნელებელი გულის ტკივილი როგორც მამის დაკარგვის გამო, ასე გმირის მცნების გაურკვეველობის გამო: თუ მამა ჩემი გმირი

და შეწირული არაა, მაშ ვინღაა გმირი და შეწირული?

გმირი ისაა, ვინც აუცილებლობა გააცნობიერა და ვაჟკაცურად გადადგა აუცილებელი საბედისწერო ნაბიჯი. გია აბესაძემ გადადგა ეს საბედისწერო ნაბიჯი სრულიად გაცნობიერებულად, რადგან თვითონვე ნათლად და მარტივად განმარტა თავისი საქციელი თავის ბოლო წერილში ერისა და შვილის მიმართ: “თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას, – ბოლო. შვილო მაპატიე, ვიცი რომ გამიგებ.”

დღეს საქართველოს აინტერესებს კითხვა, – არსებობს თუ არა ჩვენს ქვეყანაში გმირობისა და გმირის მცნება? თუ ჩვენ ამ კითხვაზე ვერ გავეცით დადებითი პასუხი, გია აბესაძის შვილი დაკარგავს რწმენას სულის დიდების მიმართ და საქართველო კი თავის სულიერ საყრდენს. ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ერის მეხსიერებაში მერაბ კოსტავას, მერაბ მამარდაშვილის, გია აბესაძის და ჟიული შარტავას სახელები. ამ წერილის შინაარსის თანახმად გთხოვთ გია აბესაძის საკითხი პარლამენტის წინაშე დავაყენოთ და ვაღიაროთ იგი ეროვნულ გმირად. რადგან იგი არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას არ წარმოადგენდა, მისი სახელი თავისუფალდება პოლიტიზირებისაგან, რის გამოც ერი ღირსეული მამულიშვილის საქციელში ძმობის, სიყვარულისა და შვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ დაბრუნების უშეღავათო მოწოდებას დაინახავს.

შეფასება ფაქტიურად შედგა. ჯანსუღ კორძაიამ გულიდან ამოხეთქილი პრემიუმს ბაღადა მიუძღვნა გია აბესაძეს. მრავალმა მკითხველმა შეიტყო საქართველოს ზვარაკად შეწირული გმირი შვილის ამბავი...

გვწამს რომ გმირების სამშობლოს,

გმირის მცნება არ დაუკარგავს, რადგან თვით ხალხმა უკვე მიიღო იგი გმირად, რაც ქვემოთ მოყვანილი უბრწყინვალესი ბაღადით დასტურდება.

* * *

მეორედ დაბადება

ჰერაკლეს მითიური ცეცხლზე ზეცით ამაღლებას თუ მითად მივიჩნევთ დასტურად მიწიერ ფაქტს მივმართოთ.

საკუთარი თავის დაწვა ცნობილია ინდოეთში უხსოვარი დროიდან. მას გარკვეული რიტუალის ფორმა გააჩნდა. ქვრივს, რომელმაც გულით საყვარელი დაკარგა, წინასწარ ამზადებდნენ ნელსაცხებლებით, რათა დაეცვათ ქვრივი საშინელი ტანჯვისაგან – კოცონზე წვის აგონიისაგან – და კამეჩის ერბოთი და კიდევ მრავალი სხვა ნელსაცხებლებით დაცული ქალი აღიოდა კოცონზე. იგი სრულ გონებას ინარჩუნებდა და უმტკივნეულოდ მიდიოდა სხვა სამყაროში. მსხვერპლი ამ შემთხვევაში იწოდა, სამაგიეროდ სული აღწევდა ტრანსცენდენტალურ (აბსოლუტურ) სიწმინდეს და ბრამინული ეკლესიისაგან კანონიზირებულად (წმინდანად) ითვლებოდა.

გია აბესაძე არ იყო დაცული ჯოჯოხეთური ტანჯვებისაგან და მაინც უყოყმანოდ მიიღო მან იგი ჩვენთვის, თვითონ კი უზენაეს წმინდანთა სულებს წმინდანად შეემატა და როგორც ბრძენს არ აწუხებს თუ რას ფიქრობს მასზე ჭიანჭველა, ასე გიას წმინდა სული ნაკლებად ზრუნავდა იმაზედ, ვაღიარებდით ჩვენ მას წმინდანად თუ არა, რადგან იგი ისედაც წმინდანიადღეს ცათა სასუფეველში. ის, რაც მას უნდოდა, მან მაინც გააკეთა: გადაარჩინა საქართველო. იმ დროს როდესაც აღმოდებულს გიას ჯოჯოხეთური ტანჯვა

აწამებდა, დაბრმავებულმა საქართველომ ვერ დაინახა მისი წმინდა მსხვერპლშეწირვა და როდესაც გრიგალი ჩადგა პირველი მერცხალი აღიარებისა, – *”ბალადა გია აბესაძეზე”*, – აჟღერდა როგორც დასტური საქართველოს გამირული არსისა, ერის იმ არსისა, რომელსაც ვერანაირი მატერიალისტურად გამართლებული სიგიჟის ახსანა ვერ დაჩრდილავს, რადგან ეროვნული სული მუდამ მზადაა სულიერად მიმართული გამირობისათვის. საქართველოს უკვდავება კიდევ ერთხელ გვაუწყა *გია აბესაძის წმინდა სულმა*. ალბათ მრავალი სადიდებელი ლექსი თუ სიმღერა შეინახავს საქართველოსათვის მის ამ საგმირო საქციელს.



ბ ა ლ ა დ ა

განსჯამ ამოსტყორცნა და სიმწრით ამოიზიდა დასკვნა...
ტკივილიდან და დამსხვრეული მიზნიდან. დასკვნა... ნანგრევებიდან, ფიქრის გაოგნებიდან. გადაბუგულ მზიდან და მღვრიე ქაოსებიდან. კანონადა გადავლილ სივრცის ფერფლის ფერიდან. შეუცნობ და აუხსნელ სასტიკ ბედისწერიდან დასკვნა... სიცოცხლეებზე გადავლილი კევრიდან. განწირული ზეციდან, დაკარგული რწმენიდან, დამიზნებულ სროლიდან, შეძრწუნებულ ხილვიდან, გაორებულ, გახლეჩილ ქართულ სინამდვილიდან, ცას მიწვდენილ ურვიდან, სისხლით ნატბორ მიწიდან, მესთატეხად ელდად და ზარად ამოიზიდა – დასკვნა, ვით ბედისწერის უცხადესი ქარაგმა: „საქართველომ გონი და თავის თავი დაკარგა”. ირგვლივ სივრცე – მორთული მონღოლური კარვებით, სივრცე – გადალექილი სისხლის ნიაღვარებით
.....
და ერთბაშად შეძრული შეშლილ სინამდვილეთი, გონდაკარგულ ქვეყნით და

დაშრეტილი იმედით,
მიწვდი, რომ ამაღა
სიტყვაც,
ლოცვაც,
ღაღადიც,
რომ ამ წამში – სამშობლოს
სამუდამოდ კარგავდი
იმ უწმინდეს მიწას და
იმ ზმანებებს კარგავდი,
შენ რომ მთელი სიცოცხლე
ოცნებებით კარგავდი
იმ სიმაღლეს კარგავდი
ქართულ სულის სიმაღლეს...

იდგა უბნელესი და
შემხუთველი ქალსი...
.....
გონი რამ დაუკარგა
შემქმნელს – „ვეფხვისტყალსის“?
გონი რამ დაუკარგა
შემკრებს ქართულ ჰანგების,
რა ღვთის წყრომით,
რა ძალით,
რა დაუნდობ განგებით?
გონი რამ დაუკარგა
მშობელს პეტრე იბერის?
ვინ გააქრო



ყველაფერი მიჰქონდათ
გრიგალებს და ნიაღვრებს.
საქართველო თავის თავს
თავის ხელით მარხავდა...
ყველაფერი მორჩა და
ყველაფერი გათავდა.
.....
ირგვლივ სივრცე –
მორთული
მონღოლური კარვები
სივრცე – სავსე ბოდმის და
შურისგების ზარებით.

ცისფერი,
ზღვისფერი და მზისფერი?
გონი ვინ დაუკარგა
ქრისტეს ჯვარის –
აღმმართველს,
ბაგრატსა და გელათს და
მცხეთასა და ალავერდს?
ირგვლივ სივრცე –
მორთული
მონღოლური კარვებით
მოღვილი ბოდმის და
სისხლის მინანქარებით...

და აკივლდი!
ის წამი
და იმ დასკვნის საზრისი
ყველას რომ გაეაზრა,
ვით ახალი კრწანისი.
ყველას რომ განეცადა
ბედისწერის ქარაგმა:
„საქართველომ გონი და
თავის თავი დაკარგა“.
მაგრამ ვაი, ყრუ იყო
სივრცეცა და ჟამიც და,
ყრუ იყო, ვით უდაბნო
და ყრუ... დასაბამიდან:
ვერვის ვერ მიაწვდინე
ხმა შენს აკივლებიდან,
გამწარებულ გულიდან,
შეძრწუნებულ ვნებიდან,
ხსნა არ ჩანდა!
გარს გერტყა უდაბური ჭაობი,
უსიცოცხლო, უმზეო
ბნელი სანახაობით
ხსნა არ ჩანდა! გეხვია
გაუვალი ტევრები,
გადაფერადებული
მრუმე აკვარელებით.

.
რა წამმა ჩაგაგონა,
რომელ სიღრმის
მხილველმა,
რომ ამოხსნა ათასი
კითხვით სავსე დილემა?
რა წამმა ჩაგაგონა
რისმა ამოლანდებამ?
რა ფიქრიდან,
რა მწველი
ცეცხლის ამონათებამ?
რა განსჯამ ჩაგაგონა,
რომელ ფიქრის წამყოფით
რამ მიაგნო,
არ სმენილს,
არ ნანახს და
არ ყოფილს?
რა განსჯამ ჩაგაგონა
რომელ ფიქრის წამყოფით,

რომ ქვეყანას შეძრავდი
მხოლოდ თვითუარყოფით!
მხოლოდ თავის შეწირვით,
მხოლოდ თავის განწირვით...
და აფრინდა შენ ცაზე
ფრთაგაშლილი არწივი.
მხოლოდ ცეცხლით!
მზისთვალთ,
ცეცხლით – პირველმიზეზით
ცეცხლად აბრიალებით,
ცეცხლად აგიზგიზებით
რა ძალა, რა დამუხტე
ტანზე ცეცხლის მომდებად,
რამ ჩაახშო ტკივილი,
წამება და გოდება?
ცეცხლი, ვით სტიქიონი,
ცეცხლი – პირველმიზეზი,
ცეცხლი ამირანის და
ცეცხლი ჰერაკლიტესი.
ენტო წამი! –
ტკივილად
ანთებული ლამპარი,
როგორც ყოფნა-არყოფნის
სამანი და საზღვარი
და აფეთქდა სამყარო,
მრუმე,
ყრუ,
უდაბური
და კიოდა სამრეკლო,
რეკდა ზარი გაბმული
და სულ ბოლო ხილვაში
აფერადდა გიშერი...
და აინთო
ცისფერი,
მზისფერი და
ზღვისფერი....
შენ კი,
ვინც ქაოსიდან
ცეცხლად ამოიტყორცნე,
კვლავ გრძელდები
უკვლავ და
მარადიულ სიცოცხლედ!

ჯანსუღ კორძაია

ქ ა ლ ი

ბედნიერია ერი სადაც ქალი
დ ა ც უ ლ ი ა !!!

მომავალი დიადი ეპოქა მჭიდროდაა დაკავშირებული ქალთან. მიმდინარე დრომ, როგორც წინა, სხვა უკეთესი დროის სივრცეში (ატლანტიდა და ლემურია), ასე ეხლაც უკვე ჩვენს ეპოქაში ტოლფასი ადგილი უნდა შეურჩიოს ქალს, მის მარადიულ მეგზურთან და თანამშრომელთან, მამაკაცთან ერთად, რათა ორივემ ერთობლივად მართონ სიცოცხლე. კოსმოსის მთელი სიდიადე ხომ ამ ორსაწყისოვნებითაა განხორციელებული. სიცოცხლის საფუძველი ამ ტოლფას ორსაწყისივნებაზეა დაფუძნებული. ამიტომ შეიძლება კი რომელიმე მათგანის დამცირება და მეორესხარისხოვნად გამოცხადება?!

ყველა მიმდინარე და მომავალი უბედურებანი და კოსმიური კატაკლიზმები თავისი მნიშვნელოვანი ნაწილით წარმოადგენენ ქალის დამცირებისა და დამონების შედეგს. ზნეობის საშინელი დაცემა, სნეულებანი და ზოგიერთი ერების დეგენერაცია, თავის წარმომშობ საფუძვლად, ქალის მონურ შინაარსს ატარებენ. ქალი მოკლებულია შესაძლებლობებს სრული მოცულობით ისარგებლოს ადამიანობის უდიდესი უპირატესობით და ეზიაროს შემოქმედებით აზროვნებასა და აღმშენებლობით საქმიანობას. ის არა მხოლოდ თანასწორუფლებიანობასაა მოკლებული, არამედ, ზოგიერთ ქვეყნებში, მამაკაცის ტოლფას განათლებასაც. იგი დაშვებული არაა საკუთარი ნიჭიერებისა და შესაძლებლობათა გამოვლინების პირობებთან, ასევე იგი არაა დაშვებული

სახოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების შენების ბერკეტებთან, რომელთა, კოსმიური კანონებისა თუ უფლებების თანახმად, სრულფასოვან წევრსაც წარმოადგენს იგი. მაგრამ ქალი – მონა, მსოფლიოს მხოლოდ მონებს აღუზრდის. ანდაზას, – "დიადი დედის შვილებიც დიადნი არიანო", – ღრმა კოსმიური საფუძველი უდევს საფუძვლად, რამეთუ ვაჟი, ხშირად უფრო დედისაგან იძენს ღირსებებს და პირიქით, ქალიშვილები მამის ღირსებისა და ძალის შემკვიდრენი არიან. დიადია და ლამაზი კოსმიური სამართალი! ქალის დამცირებით მამაკაცმა საკუთარი თავი დაამცირა! აი ამაში უნდა ვეძებდეთ მამაკაცის გენიის უკმარისობას ჩვენს ცხოვრებაში.

განა შესაძლებელია ცხოვრებაში მომხდარიყო ყოველი ის სულის ძირამდის შემძვრელი და შემადრწუნებელი დანაშაულებანი, თუკი ორივე საწყისი გაწონასწორებული იქნებოდა? კაცობრიობის ხსნის შესაძლებლობები და პლანეტის გადარჩენის ბერკეტები ქალს ემორჩილებიან და ქალის ნებაზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომაც რომ ქალმა უნდა გააცნობიეროს თავისი მნიშვნელობა, – სამყაროს დედის თავისი დიადი მისია და გაუმზადოს კაცობრიობის ბედის მისიის პასუხისმგებლობისათვის. დედა, შვილების სიცოცხლის შემოქმედი, უფლებამოსილია მართოს საკუთარი შვილების ბედიდბალიც სახელმწიფოს სათავეებიდან. კაცობრიობის ბედის მმართველთა რიგებში აუცილებლად უნდა ისმოდეს ქალის, როგორც დედის

ყველაზე მნიშვნელოვანი ხმა. განა დედა არ ჩაუყრის შვილის ცნობიერ და გონიერ ცხოვრებას საჭირო ფუძეს? განა დედა არ აძლევს მიმართულებას და ელფერს ან ხარისხს ყოველ მის ნიჭსა და მისწრაფებას? მაგრამ დედას, რომელსაც აკლია აზროვნების კულტურა, ანუ ადამიანური არსებობის გვირგვინი, შეუძლიან შვილში მხოლოდ მდაბიო ზრახვებისა და ვნებების გაღვიძება.

მაგრამ განათლებისა და ცოდნისაკენ მისწრაფებულ ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მხოლოდ საფეხურის, ნათელი ფანჯრის დანიშნულება უზენაესი ცოდნისა და უმაღლესი კულტურის მისაღებად. ჭეშმარიტი კულტურა აზროვნებისა იზრდება მხოლოდ სულისა და გულის კულტურის მაღლით. მხოლოდ ამ შეხამების მაღლით ხდება ის დიადი



ქალი, რომელიც ცოდნისა და სილამაზისაკენ მიისწრაფის, მთელი თავისი შეგნებული პასუხისმგებლობით, ძალზედ დიდ სიმაღლეზე აიყვანს ზნეობას და ცხოვრებაში ადგილი ადარ ექნება ამაზრზენ მანკიერებებს, რომელთა გამოც გადაგვარება და განადგურება ემუქრება ერებს.

სინთეზი, რომლის გარეშეც ვერ მოხდება ადამიანში წვდომა და გაცნობიერება იმ სიღიადისა, მრავალფეროვნებისა და სიცოცხლის ქარგის სირთულისა, რომლის პროცესიც დაუსრულებელია კოსმოსის უსასრულო სრულყოფილების პროცესში. ამიტომ თუ ცოდნისაკენ მიისწრაფება აზროვნების კულტურა, მან არ უნდა

დაივიწყოს სინათლის წყარო და სულის ის წინამძღვრები, ის უდიადესი ბრძენი გონებანი, რომლებიც ჭეშმარიტად აქანდაკებენ კაცობრიობის ცნობიერებას. ამ წყაროსთან დაახლოებისას და ამ წამყვან სინთეზის მქმნელ საწყისთან ზიარებისას იპოვის კაცობრიობა ევოლუციის ჭეშმარიტ გზას.

დაე ზუსტად ქალმა შეიმეცნოს და გააცხადოს ეს წამყვანი საწყისი, რამეთუ დასაბამიდან მას გადაეცა ძაფი ორ სამყაროთა, ხილულ და უხილავ შორის კავშირისა. ქალს მიეცა სიცოცხლის სანუკვარი ენერჯის ძლევა მოსილების მოვლინების ნიჭი. მომავალ ეპოქას მოაქვს მსოფლიოსათვის ამ დიადი პირველსაწყისი ენერჯის ძლევა მოსილების ცოდნა, ცოდნა იმ ენერჯისა, რომელიც ავლენს თავის უმაღლეს თვისებებს ადამიანის გენიის უკვდავ ქმნილებაში.

დასავლეთის ქალმა უკვე გაიღვიძა თავისი ძალების მიმართ გაცნობიერებისათვის და მისი კულტურული ღვაწლი და შენაბატი აშკარად თვალნათელია. მაგრამ უმეტესობას, დასაწყისში, უფლებათა გაწონასწორებისას, როგორც წესი, გამოსდის მიბაძვა. მაგრამ არა მიბაძვაში, არამედ ახალ ინდივიდუალურ, განუმეორებელ გამოხატვაშია გაწონასწორებისა და ჰარმონიის სილამაზე. ჩვენ ხომ არ გგსურს, რომ მამაკაცმა დაკარგოს თავისი ვაჟკაცობის სილამაზე? ასევე მამაკაცსთვისაც, რომელსაც გააჩნია სილამაზის გრძნობა, უსიამოვნოა ხედავდეს მიბაძვას მისი ჩვევებისადმი და შეჯიბრს ალვირახსნილობასა და უზნეობაში. მიბაძვა ყოველთვის იწყება იოლიდან. ვიქონიოთ იმედი, რომ ეს პირველი საფეხური სწრაფად იქნება აღმოფხვრილი და ქალი, დიადი დედა ბუნების ცოდნის გაღრმავებით იპოვნის თავისი შემოქმედებითი გამოხატულობის განუმეორებელ სიდიადეს.

კოსმოსი, რომელიც კანონის ერთიანობას ავლენს, განუმეორებელია თავის

მრავალფეროვნებაში. მაშ რატომაა, რომ მხოლოდ კაცობრიობა მიისწრაფის ყველაფერში ერთფეროვნებისაკენ, და ამასთან ერთად არღვევს ერთიანობის ძირითად კანონს? ხილულის ერთფეროვნება, სიცოცხლის ერთფეროვნება, და რაც ყველაზე შემაშფოთებელია ის, რომ ცდილობენ დაამკვიდრონ აზროვნების ერთფეროვნებაც. ამასთან ავიწყდებათ ის, რომ გამოვლინებათა ერთფეროვნებას მოაქვს უძრავობა და სიკვდილი. სიცოცხლე და მისი ძლევა მოსილება ფორმათა მარადიულ მონაცვლეობაშია ჩადებული და ამიტომაა საჭირო ამ მაცოცხლებელი პრინციპის, ჩვენი სიცოცხლის გამოვლინების ყოველი ფორმის მიმართ გამოყენება.

შეგვრიბოთ ყველა საუკეთესო გმირული ხატებანი ყოველი ერისა, დროისა და სრულყოფილების მიზნით შემოქმედებით მისწრაფებაში გარდაექმნათ მათი ხარისხი და მიღწევები, ჩვენი ეპოქის სულისკვეთების ნიშნის ქვეშ, და მხოლოდ ასეთი მიბაძვა შექმნის სწორ საფუძველს შემდგომი მიღწევებისათვის.

ჩემს მიმართვას ქალებისადმი დავასრულებ სიცოცხლის მოძღვრების წიგნის ერთი გვერდით: „როდესაც ერები გაეშურენ გაუწონასწორებლობის საწყისისაკენ, დამკვიდრდა თვითგანადგურების პრინციპი. და თვითგანადგურებასთან დაპირისპირება კი შეიძლება მხოლოდ გაწონასწორებით. კაცობრიობა ვერ ესადაგება აღმშენებლობის პრინციპს და ამით არღვევს ყოფიერების საფუძველებს. როდესაც კოსმიური მაგნიტის კანონის თანახმად, არსებობს მდაბლის მაღლისადმი მორჩილება, ეს ეხება მხოლოდ ენერჯიებს, რომლებიც, თავისი არსის თანახმად, უნდა გარდაისახონ. მაგრამ, როდესაც საწყისები მოწოდებულნი არიან ცხოველმყოფელი შემოქმედებისათვის, მაშინ ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარი განადგურების გარეშე მოიშორონ ერთ-ერთი რომელიმე საწყისი. ამიტომ, კაცო-

მ ე დ ე ა

ბრიობა შეგნებული განვითარებისაკენ გაეშურება მხოლოდ მაშინ, როდესაც გააცნობიერებს ორივე საწყისის განმტკიცების აუცილებლობას. ყველა პრინციპი, რომლებიც კი ამ ორ საწყის არიან მოკლებულნი, მხოლოდ აძლიერებენ გაუწონასწორობლობას. კაცობრიობამ უნდა გამოავლინოს ამ კოსმიური მაგნიტის კანონისადმი შეგნებული გაგება.

მეცნიერები ბიოლოგები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, თითქოს და უნდა ფლობდნენ ამ ჭეშმარიტებას დიადი ორსაწყისოვნების მიმართ, რაც იგივეა პოლარობების მიმართ, მაგრამ რატომღაც სდუმან. და ეს ჭეშმარიტება, მის ყველაზე უახლოეს, სანუკვარ და ცხოვრებისეულ გამოყენებაში, ითვლება უდიდეს ეგოიზმად და ძლიერის უფლება ყველგან და ყველაფერში



თუკი სიცოცხლის საფუძვლად იქნება გააზრებული და შეგნებული ცხოვრების დიადი ორსაწყისოვნება, მაშინ კაცობრიობა ევოლუციის გზაზედ მრავალ წარმატებას მიაღწევს.

ასეთმა მარტივმა ჭეშმარიტებამ დღემდე ვერ მოიპოვა საკუთარი ადგილი ადამიანთა ცნობიერებაში! ჩვენი

მკვიდრდება. უბედურება იმაშია, რომ ადამიანის გონება გაეთიშა თავის წყაროს, კოსმიურ გონებას. წარმოადგენს რა კოსმოსის ნაწილს, ადამიანი, ვერ ხედავს თავის სოლიდარობას, თავის ერთარსობას კოსმოსთან. და დაკვირვებანი ბუნების მოვლენების მიმართ, არ ბადებენ მასში, ადამიანში, ანალოგიებს.

ამასობაში, მხოლოდ ამ დაკვირვებებსა და შედარებებში, ადამიანის არსებასთან მიმართებაში, უნდა ვეძებდეთ სიცოცხლის ყველა საიდუმლოების გასაღებებს, და როგორც შედეგს, სიცოცხლის მრავალი პრობლემის გადაწყვეტას. ადამიანები თუთიყუშივით იმეორებენ ასე მოწონებულ გამონათქვამს – მაკროკოსმი, მიკროკოსმი! რამდენს ამბობენ, რამდენს იმეორებენ ნათქვამის აზრის წვდომის გარეშე! თავს მოხვეულმა დოგმებმა, ადამიანთა კანონებმა, სიცოცხლის სტანდარტებმა გადააჩვიეს კაცობრიობა აზროვნების პროცესს და შექმნეს მისგან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავტომატი, რომელიც მხოლოდ დაზეპირებულ და მიღებულ ფორმულებს იმეორებს. როდისღა მოვა ადამიანის აზრის განთავისუფლების შესაძლებლობა?

ყველგან, სხვადასხვა, განსხვავებულ თავისუფლებაზედ ლაპარაკობენ, თუმცა ყველა საპირისპირო ბანაკს ეშინია ერთი და იგივე ცხოველისა – აზრის თავისუფლებისა!

ამიტომ ქალი უნდა აღსდგეს არა მხოლოდ საკუთარი აზრის დასაცავად, არამედ აზრის თავისუფლების დასაცავად მთელი კაცობრიობისათვის! ვიაზროვნოთ ყველაზე ვრცელი, ყველაზე ნათელი აზრებით. აზროვნების უნარების განვითარებით შესანიშნავად აღიზრდებიან ჩვენი შესაძლებლობანიც. ნათქვამია –

სამეფო არა გვირგვინებსა და ურდოებშია, არამედ იდეათა კოსმიურობაშია.

შეგქმნათ ჩვენი ქალაქები, ჩვენი ქვეყნები და ჩვენი პლანეტები! მაგრამ ეს აზრები მხოლოდგულიდან უნდა დაიბადონ, რამეთუ მხოლოდ გულიდან დაბადებული აზრები ცოცხლობენ. გული უდიდესი კოსმიური მაგნიტია. გულისკენ მიიზიდებიან ყველა კოსმიური ენერგიები, გული ითვისებს ყოველ მისკენ მისწრაფებულ ენერგიას. გული ავლენს ცხოვრებაში მისწრაფებას. სივრცის ცეცხლი მიისწრაფის გულისაკენ და ამ პრინციპშია ჩადებული მთელი კოსმიური პროცესი, და ამიტომ შეუძლიან კოსმოსს იარსებოს გულის მიზიდულობის ძალით. მხოლოდ გულის მიზიდულობაზე დაფუძნებულ ენერგიებს შეუძლიათ არსებობა. აი ასე უსასრულოდ იჭედება გულისაგან სიცოცხლის ჯაჭვი.

მოგისმენიათ ოდესმე გულისათვის? ბერს კი იგი სრულყოფილი გულის ერთიან რითმში, რომელიც ყოველ თქვენთაგანს იტევს?

ასე დავასრულებ გულზე. დაე ქალი დამკვიდრდეს სიცოცხლის გარდაქმნის ამ დიად სიმბოლოზედ და გაეშურება კაცობრიობის სულიერი გარდაქმნის საგმირო საქმიანობისაკენ.

დედა – სიცოცხლის მომნიჭებელი, სიცოცხლის მცველი, დაე დამკვიდრდეს წინამძღვარ, ნობათის მომნიჭებელ დედად!!!



ექიმ პავლე კანკავას წერილი

2008 წლის 20 მაისს, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო ჩავიტარე კლინიკური, ლაბორატორიული და ექოსკოპიური გამოკვლევა:

- აღმოჩნდა შარდის ბუშტში ნარჩენი შარდი 3150 გრამი;
- პროსტატის ადენომა;
- ორივე დაზიანებული თირკმელის ჰიდრონეფროზია;
- კარდიოგრამაზე, გადატანილი ინფარქტი;
- არტერიული წნევის ციფრები 240-140-ზე
- ენდოკრინოლოგმა – სისხლში ჭარბი რაოდენობით შაქარი დაადგინა.

კუჭ-ნაწლავის, საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები. ჩემმა კოლეგებმა გადაწყვიტეს საავადმყოფოს ეტლით ჩემი რენიმაციულ განყოფილებაში მოთავსება.

ურთოლოგმა გადაწყვიტა ერთთვიანი ღრენაჟის შემდეგ, – შარდის ბუშტში შარდის დაცლის შემდეგ, – ოპერაციული ჩარევის ჩატარება, პროსტატის ადენომაზე.

პროგნოზი: ან ლეტალური დასასრული... ან, უკეთეს შემთხვევაში, დაკიდებულ ქილაში შარდის გამოყოფა – ანუ სრული და იუმედო ინვალიდობა.

კარდიოლოგმა ამიკრძალა მძიმის აწევა, დამინიშნა არტერიული წნევის დამწევი და საგულე მედიკამენტები.

ენდოკრინოლოგმა – დიეტა, დიაბეტონის აბები.

გასტროენტეროლოგმა – დიეტა და მედიკამენტოზური მკურნალობა.

უმძიმეს მდგომარეობაში (ვგრძნობდი, რომ უკვე რაღაც საეჭვო მჭირდა, – უსაზიზღრესი სუნი ამდიოდა) ასეთი ავადმყოფი მივედი ჩემ მეგობართან და

მასწავლებელთან, იოვთან – ბატონ თამაზ თავაძესთან.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ თ.თავაძე, აგნი-იოვას მეთოდით მკურნალობისას უკურნებელ სნეულებას ამარცხებს. მას ათასობით ადამიანი ჰყავს განკურნებული სხვადასხვა მძიმე დაავადებებით, მაშინ როცა კლასიკური მედიცინა უძლურია ამგვარ უკურნებელ დაავადებასთან საბრძოლველად, ვისაც სჯერა ამ მეთოდის და აქვს რწმენა, არ ეშინია ტკივილთან მუშაობის, აღწევს წარმატებას.

ერთ-ერთი მისი პაციენტი ვარ მეც. მე არ ვიცავდი ჯანსაღი ცხოვრების წესებს და... თ.თავაძემ ხუთჯერ გამომგლიჯა სიკვდილს. ამჟამად თავს ვგრძნობ დამაკმაყოფილებლად.

სურვილი მაქვს ჩემი და სხვა ავამყოფების მადლობის წერილი წაიკითხოს მძიმე და უიმედო მდგომარეობაში მყოფმა ავადმყოფებმა აგნი-იოვას მეთოდით მკურნალობის შედეგებზე და სხვა უიმედონი მივიდნენ ჩვენს ოფისში და დაუბრუნდნენ ოჯახს სრულყოფილნი და განკურნებულნი.

ჩემი და მრავალი მძიმე ავამყოფების სახელით მადლობას ვუხდი ბატონ თამაზ თავაძეს.

22 მაისი 2015 წელი

პავლე კანკავა, 67 წლის



სიბრძნის კონა

დიდი ვაჟკაცობაა აშენებდნენ გულის ძლევამოსილებას მაშინ, როდესაც ირგვლივ მხოლოდ ნგრევა და სიძულვილია. რომ არ გესმოდეს ამგვარ დაცემათა აუცილებლობის გარდაუვალობა სამყაროსათვის, შესაძლებელია წაგცდეს აზრი გულის მიღწევათა ამოებაზედ, მაგრამ საბედნიეროდ ეს ყველაფერი ყველასთვისაა საჭირო. ამიტომ, გინდაც და რომ ჩამოინგრეს და დედამიწაც გადაბრუნდეს ისე, რომ მტვერსა და ნანგრევებში არც რომ არაფერი არ ჩანდეს, თქვენ თქვენი გულის ძლევამოსილება მაინც უნდა აშენოთ.

(აგნი იოგა)

* * *

ვეძებთ არა უფლებებს, არამედ სამართალს.

* * *

ბოროტი საქმიანობა არასოდეს არ სრულდება ისე იოლად და ისეთი

სიამოვნებით, როგორც რელიგიურ შეხედულებათა დაცვის დროს.

(ბლუზ პასკალი)

* * *

სილამაზე და მოხდენილობა ჩურჩულებენ და უგემოვნება კი ყვირის.

* * *

სამართალი და სამართლიანობა მიჰყავთ იმ ხალხს, რომლებმაც მჭერმეტყველების ძალითა და მზაკერული სიტყვა-ხლართების ძალით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და სოციალური მდგომარეობა. მეხსიერებისა და სხვა ხრიკების მუდმივი ვარჯიშების განვითარების ძალით, ისინი მთელს თავის ცოდნასა და შესაძლებლობას ადამიანთა წარსულ დანაშაულთა რიტორიკას და სხვა და სხვა დებატებსა და ჩვევად ქცეულ აქციებს ახმარენ, მაგრამ მათი „სამართალი შორსაა“ ჭეშმარიტი სამართლის წარმოდგენათა რეალობებისაგან.”

/პლატონი/

ღმერთის საიდუმლოებანი ერთბაშად როლი შეიმეცნებიან. განა ჩაწვდებიან მის შეუდარებელ სიბრძნეს ისინი, რომელთაც სურთ ამ ნათელი სამართლის მხოლოდ საკუთარი თავისათვის გადამაღვა? ვინც ამ ნათელ სამართალს მხოლოდ საკუთარი თავისათვის ეძებს, მათ მოუწევთ მისი მოწყალებით სხვებისათვის დათმობა. მრავალი რამ, იმისაგან რასაც კაცობრიობა მიიჩნევს დღეს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებად, ოდესღაც ერესად იყო მიჩნეული და დადღასმული შესაბამისად...

ძველ მოციქულებსა და ბრძენკაცებს ისრაელისა ქოლავდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ და... ხერხავდნენ კიდევ ნაწილებად. დაცემულთა დასმენით მათ ისე აწამებდნენ, რომ ადამიანთა გონება შეპრწუნდება...

სიბრძნე მაგების მისტერიების სიბრძნის განდობის სინონიმი.

* * *

არასოდეს არც ყოფილა და არც იქნება კიდევ ერთადერთ უნივერსალურ რელიგიაზედ მეტი რელიგია, რადგან არსებობს მხოლოდ ერთად ერთი ჭეშმარიტება ღმერთზე.

* * *

ოკულტური ფილოსოფია – სიცოცხლის ჭეშმარიტი გმირობაა. ასე იყო და ასეც უნდა იყვეს კიდევ.

/ე.ბლავატსკაია/

* * *

თვინიერად ისმენდე, სიკეთით სჯიდე.
/უ.შექსპირი/

* * *

ჭორი და შეცდომა მოგორავენ თავდაღმართში. ჭეშმარიტება და სამართალი კი, ძნელად იკაფავენ გზას აღმართში.

* * *

უმეცრება ქმნის შეხედულებებსა და წარმოდგენებს სრულიად უსაფუძვლოდ, ადვირახსნილი სითამამით და უმეცარის მორჯულების ერთად ერთი საშუალებაა, – ბედისწერის ბუმერანგის კეფაში უღმობელი დარტყმა, უმეცრებისა და უპასუხისმგებლობის გამო.

* * *

წარსული დღევანდელობის გაცნობიერებაში დაგვეხმარება და, თავის მხრივ, წარსულის უკეთესად შეფასებას გაცნობიერებული დღევანდელობა იძლევა. დროთა წიაღის შეცდომანი ახსნილნი უნდა იყვნენ და ამიტომაც უნდა ამოვიღოთ ისინი ისტორიიდან, და მაინც, უფრო სავარაუდოა, რომ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, რადგან მრავალი საუკუნისა და ისტორიის ჭეშმარიტების მიმართ დასტური, კიდევ ერთხელ მტკიცედ ჩაიბეჭდება მხოლოდ მცირერიცხოვან, ინტუიციის მქონე პიროვნებათა გონებაში, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანთა გონებაში გაბრწყინდება მხოლოდ

/ე.ბლავატსკაია/

* * *

„ძველებმა იცოდნენ, თანამედროვეებს კი ჰგონიათ რომ იციან”

/ე.ბლავატსკაია/

* * *

„ბედნიერია ის ვინც რიცხვთა სულიერ შინაარსს ჩაწვდა და გრძნობს მათ ძლევაამოსილ ზემოქმედებას”

/პლატონი/

* * *

ბევლები ჰერმესის სახით გვასწავლიდნენ, რომ ბუნებაში უეცრად არაფერი არ ჩნდება, რომ ბუნება ნახტომით და ბიძგებით არ ვითარდება, რომ მის შემოქმედებაში ყველაფერი აუჩქარებელია და ჰარმონიული, და ისიც რომ ბუნებაში არაფერი მოულოდნელი არაა, თუნდაც უსასტიკესი სიკვდილიც კი.

წინათ არსებულ ფორმათაგან დინჯი და აუჩქარებელი განვითარება, – ილუმინატების დოქტრინა გახლდათ. სამმა დედამ, იგივეა რაც ებრაულმა ალფ, მემ და შინმა (სრულად გახსნილად კი: ელექტროლობა ანუ მაგნეტიზმი, სითბო და სინათლე) უჩვენეს ჰერმესს თავიანთი შრომის საიდუმლო წარმატება, იმაზე ადრე ვიდრე სინეზინმა ახსენა მისგან აღმოჩენილნი ქვის წიგნები მემფისის ტაძარში, რომლებზედაც ამოკვეთილია შემდეგი გამონათქვამი: „ერთი ბუნება ნეტარებს მეორეში, ერთი უპირატესია მეორეზე, ერთი იმორჩილებს მეორეს და ისინი მაინც ერთიანობას წარმოადგენენ.“

* * *

ეჭვი სპობს და ძირს უთხრის უშიშარობას, – იგი ფიტავს გულს, როგორც ცოდნის საფეხურს, რომელიც ასე საჭირო იყო წარმატებისათვის. აი ზუსტად ასევე ანგრევს შიში ჯანსაღ კავშირს აზროვნებასა და მოქმედებებს შორის და თუ შიში საჭიროზე მეტ ხანს გრძელდება მაშინ იგი ადამიანის მუდმივ თვისებად იქცევა.

ეჭვიანი დაღუპვის გზაზედ დგას. ეჭვიანისათვის არ არსებობს არცა ეს და არცა სხვა რომელიმე სამყარო და, როგორც შედეგი, არცა არანაირი ბედნიერება.

/ბჰაგავატგიტა/

* * *

1. ვინ არის საუკეთესო მასწავლებელი? – ტანჯვა;

2. ვინ არის ცუდი მასწავლებელი? – განცხრომა;

3. რისი უნარია ყველაზე იშვიათი? – გაცემის;

4. რისი უნარია ყველაზე უკეთესი? – პატიების;

5. რა არის ყველაზე ძნელი? – დუმილი.

6. რისი უნარია ყველაზე მნიშვნელოვანი? – შეკითხვის.

7. რისი უნარია ყველაზე საჭირო? – მოსმენის.

8. რომელია ყველაზე საშიში ბრძოლა? – ფანატიკური.

9. რომელი თვისებაა ყველაზე საზიანო? – ლაყობა.

10. რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? – ვინც ჭეშმარიტება შეიცნო.

11. რომელი ადამიანია ყველაზე უღონო? – ვისაც თავი ყველაზე ძლიერი ჰგონია.

12. რომელი ადამიანია ყველაზე გონიერი? – ვინც გულისთქმას მიჰყვება.

13. რომელი ჩვევაა ყველაზე საშიში? – საკუთარი სხეულით ტკობა.

14. რომელი ადამიანია ყველაზე ღარიბი? – ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ფული.

15. რომელი ადამიანია ღმერთთან ყველაზე ახლოს? – გულკეთილი.

16. რომელი ადამიანია ყველაზე სუსტი? – სხვებზე გამარჯვებული.

17. რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი? – საკუთარი თავის დამმარცხებელი.

18. რა დაეუპირისპიროთ უბედურებას? – სიხარული.

19. რითი ვძლიოთ ტანჯვას? – მოთმინებით.

20. ჯანმრთელ სულს რა გამოარჩევს? – რწმენა.

21. რა არის ავადმყოფი სულის მანიშნებელი? – უიმედობა.

22. რა მახასიათებელი აქვს არასწორ ქმედებას? – გაღიზიანება.

23. რა მახასიათებელი აქვს კეთილ ქმედებას? – სიმშვიდე.

/სიმონ ათონელის ბრძნული პასუხები/

* * *



ამაღლებულ შენ სულო წმინდავ,
დაბადებულხარ როგორც საუფლო,
მოვლენილი ხარ ჩემი ქვეყნისთვის,
დადუღებულ სულს რომ ესაუბრო.

* * *

მე ცის თვალებში,
ლურჯა ფერებად
ჩავუშვი ღუზა,
და იქ დაგძებნე,
მთვარის შუქზე,
ლექსების მუზა.
არ მომასვენა,
არ მაცალა,
სიბნელე სურდა.
და ისევ ისე,
მზე დამეხმარა.
მზეს სულ სხვა
სურდა.

* * *

ქვეყნიერების აღთქმა
და სულიერი შვება,
დროის გარკვეული კარმა
სრულყოფილების ნება.
უკვე თუ დაკარგა აზრი
ყოფიერება ჭკნდება...
ცის ორსულობის მადლით
სულიც დაიწყებს წმინდას.

დრო ღმერთთან!

რაც არ უნდა მოხდეს,
რაც არ უნდა იყოს,
ვერ გავუბე ვერა
დროს?!

რა უნდა რომ იყოს?
გადიარა წლებმა,
წარსულს დარჩა სითბო.
სამყაროში აზრმა,
გამყარება იწყო.

რაც არ უნდა მოხდეს,
რაც არ უნდა იყოს,
შემოუშვით დროზე
დრო. დრო მოვიდა ვფიქრობ.

* * *

„საფეხურებზე ასვლა ძნელია
თუ რომ ნაბიჯი სულით გრძელია.“

* * *

„სული იარება როგორც ზიარება.“

მღუმარების ხმა

სიტყვები...
 ჩუმი ფოთლების.
 - თებერვალს დაველოდებით.
 ირგვლივ მიდამოს აოცებს,
 რას ჩურჩულებენ მორცხვები.
 ფერები...
 ათას ფერები,
 სხივების ძაფით მოსილნი,
 ოცნების ბადე ახურავთ,
 თვალის და გულის მპყრობლები.
 ემშვიდობება ცას მიწა,
 ლოცვით იძინებს ყოველი,
 მადლობის მთქმელი სიტყვებით,
 ფოთლებით დავილოცებით:
 დაგვეფინება ხალიჩად
 ბოლოს და ბოლოს მივხვდებით
 რომ წელიწადი წავიდა
 მსხვერპლად კი ჩუმი ფოთლები.

* * *

რა ხდება

ათრთოლებულა ხელები,
 ათრთოლებულა სული,
 სამყაროს ეფერებოდა
 ათრთოლებული გული.
 გაოცებული გონება
 ჰანგებს უხმობდა მზერით
 მიუწვდომელი ზმანება
 გარს მეხვეოდა გზნებით.
 ირგვლივ იკრებდა ღვთის ძალებს
 და შეიგრძნობდა სული
 გრძნობას გონებას გაყვები
 აღარ ვიყავი ჩუმი
 რაღაც უცნობი ძალები
 ჩემთვის საოცრად ბრძნული
 ჩემთვის საოცარ სინაზეს
 მეჩურჩულება გულიც.
 ათრთოლებულა ხელები

ათრთოლებულა სული
 ჰანგებს ჩაწვა სამყარო
 გრძნობას გაენდო გულიც
 სივრცეში წარმოიქმნება
 ფერთა შერწყმული ხელი
 ცისარტყელებად იშლება
 გრძნობა, გონება, გული.
 სხეული, აზრი, სინაზე,
 ერთად იკრებენ ძალებს,
 მე ამ წამს აქ არ ვიყავი,
 გზას დავეძებდი ცამდე,
 მაღლა იწევდა გრძნობები
 თითქოს დროც შეაჩერა
 და ეს სამყარო ჩემშია
 მზე კი სხივებით მკვებავს
 მთლი მომხედე უფალო
 მე აქ ვარ, შენ გზას ვხედავ
 ჩემი აზრი და გრძნობები
 შენ მოგიძღვენი ყველგან.

* * *

სულის ძახილი

ჩემი სულის ნაყოფი
 ზეცაშია ნამყოფი
 ლანდად დაბარბაცებდა
 ათრთოლებულ სამოსში
 გადარია ხილულმა
 უხილავი ამბორით
 ოცნებაც კი აღარ მაქვს
 ფიქრებიც კი არ მყოფნის
 სული ცისკენ მიზიდავს
 აღელვებულ ტალღებში
 მზის სხივების ნისლში ვარ
 შენთებული ამბორში
 ზეციური ხატები
 მეოცნებე თვალები
 სული უკვდავებისა
 გახდა ჩემთვის
 სამყოფი.

სიცოცხლის არსი

* * *

სულიერების ზღვარზე ვდგევარ და
ზღვასავით ვიბრძვი,
ხან ატყორცნილი ტალღების ხმა ვარ,
ხან კი ვარ ფიქრში,
ხან ცას შევეყურებ და მზეს დავეძებ
მზის სხივში ვიწვი,
ხან წვიმის წვეთებს ავედევნები,
წვეთების ნისლში,
სულიერების ზღვარზე ვდგევარ და
არაფინ იცის,
ზოგს ეჩვენება, რომ მე ვარ ვიღაც
რადაც რომ ვიცი.

ვარდყვავილობის დღე დადგა ისევ
სამყარო ცისა გაზაფხულს უმზერს
დედამიწაზე სუნთქვა გახშირდა
სიცოცხლე იქცა ცხოვრების სიბრძნედ.

განცვიფრებულა დრო ისევ თვალწინ
მშვენიერებამ მოსტაცა თვალი
მოღიმარ კვირტებს ლოყებს უკოცნის
სიცოცხლე იყო ამ წამში მოვრალი

მზისმეტყველება მიწასაც ეტრფის
მიწა კი მისი დიდებით დადის
რა ლამაზია ვარდობის თვე და
კოკრები, მზე და ცრემლები ნამის

ამომზეურდა გრძნეული ძალა
სახე იცვალა კვლავ ძალისძაღად
და სამყაროში კვლავ იფურჩქნება
კოკორში ვარდი, ვარდში ღვთის ძალა.

ავტორი: ხათუნა ელიაშვილი

* * *

დედის გალობა

ცას მზე თვალეში ერწყმის,
სხივებში ეხვევა გზნება,
ცისა და მიწის ღმერთი,
მზემ სხივით შეაერთა.
 შიგ იკვეთება ქალი,
 ქალი ღმერთების დედა,
 სამყარო როგორც ვარდში,
 ქალშიც სიცოცხლეს ხედავს.
გულში შეიჭრა ფიქრი,
გონების თვალზეც მზეა,
მეტს ველარაფერს ვიტყვი,
დღეს ხომ ღმერთების დღეა.

ჩემში შემოიჭრა სხივი,
გულმა მოიპოვა შვება,
თითქოს ყველაფერი ფეთქავს,
ცხოვრებას სხვა თვალთ ვხედავ...
 მზემ დაიბუღა გულში
 შიშიც ნელ-ნელა ქრება
 სხივი აცოცხლებს უჯრედს
 სული უწამლოდ რჩება.
მადლობა ჩემო ღმერთო
ჩემო მკურნალო – გულის!
მადლობა ჩემო შვილო
ნაყოფოვ სიყვარულის.

* * *

ილია ჭავჭავაძე: ბუნებური მოვლენა, ღვთის წყრომა და აუხილველი თვალი გონებისა

ტფილისი, 9 ივლისი

ჩვენს გაზეთში ზედიზედ მოწერილი ამბავია დაბეჭდილი: ერთი სოფელ კვათანიდამ და მეორე ლანჩხუთიდან, ორივეს სხვადასხვა ადგილიდან მოწვდილი ამბავი ერთსა და იმავე მიზეზს იძლევა, კაცი დაუკვირდეს ერთგვარს მოვლენას, რომელიც, ჩვენში რომ ვსთქვათ, “არ ახალია, ძველია” და მით, რასაკვირველია, არანაკლებ საყურადღებოა და ათასჯერ სათქმელი და სამოდვრებელი.

ამ წერილების დამწერნი გულმართლად მოგვითხრობენ თუ რა, ზედმოქმედება იქონია სოფლებზედ ოთხის ივლისის მიწისძვრამა. რა თქმა უნდა, რომ ეს ბუნებური მოვლენა, არაერთხელ ყოფილა ჩვენში თუ სხვაგან, ხალხმა ჯერ ყველაზედ უწინარეს ღვთის წყრომას მიაწერა, ცოდვათა გახშირების გამო მოვლინებულსა და ყველაზედ უწინარეს იგი ღონე იღონა, რომ წყრომა ღვთისა წყალობად გარდიქციოს და ღმერთი მოწყალების თვალთ გადმოახედოს. ამისათვის აიღეს და სოფლის განაჩენით დაადგინეს, რომ კვირაში ერთი დღე პარასკევი შესწირონ ღმერთსა და სამუდამოდ იგი დღე იუქმონ.

ცხენი როცა დაფრთხება ხოლმე, მიზეზი ის არის, რომ ნათლად ვერ არჩევს საგანსა. ამისი წამალი მარტო ის არის, რომ ცხენს ძალად მიიყვანენ ხოლმე საფრთხოვლ საგანთან, თვალთ დაანახვებენ და ერთხელ და ორჯელ ამნაირად ნაწურთნი ცხენი თუ ფრთხოლას ერთობ არ დაიშლის, იმ ნაჩვენებ საგანზედ მაინც აღარ დაფრთხება ხოლმე. ადამიანი, რასაკვირველია, ცხენი არ არის. არც მიწისძვრაა იმისთანა საგანი, რომ კაცმა ან ხელი შეახოს, ან თვალი მოჰკიდოს. მიწისძვრის მომავლინებელნი

ძალნი ადამიანის თვალთაგან მიუწვდომელ სფერაში მოქმედობენ და რადგანაც ამის გამო მიზეზი ნათლად და თვალსაჩინოდ გამოურკვეველია, უცოდინარი ხალხი უფრთხის და ჰშიშობს. ეს ამბავი განა მარტო ჩვენშია: ყველგან არის და ყველგან ასევე ჰშიშობენ და ფრთხიან ამგვარ ხორცის თვალთაგან მიფარებულ ამბავზედ.

მაგრამ კაცთა საბედნიეროდ, ღმერთს ადამიანისათვის ხორცის თვალთა გარდა მიუნიჭების გონების თვალთა და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემალება რა და ყველა მოვლენას ქვეყნისას ასეთს თუ ისეთს მიზეზს მოუპოვებს. თუ ეს მიზეზი ყოველთვის მართალი და უტყუარი არ არის, იმოდენად მაინც საღი და ჭკუას ახლოა ხოლმე, რომ კაცი ტყუილშობრალოდ არ გადაეგება, არ იხარჯება, არ იბნევა და არა ბრკოლდება თვის ყოველდღიურ ცხოვრების მსვლელობაში და არ ეძლევა ტყუილს სასოწარკვეთილებას, რომელიც ყველა მავნეზედ მავნეა, რადგანაც ადამიანს გულზედ ხელებს აკრებიან და მცონარედა ჰხდის.

სწორედ ამ დღეში ჩაცვივნულან კვათანელნი და ლანჩხუთელნი და ამ დღეშივე ცვივიან ბევრგან სხვაგანაც იმისთანა ბუნებურ მოვლენის გამო, რომელსაც აუხილველი თვალი გონებისა ვერა სწვდება დასანახავად. რამ უნდა აუხილოს ეს გონების თვალი? მარტო სწავლა-განათლებამ და სხვა არაფერმა. აი, ძველის-ძველი სახსარი, რომელიც ყოველთვის ახლად სამოდვრელია ამ ურჩის და ბნელში მთარულ წუთისოფლისათვის. ხორცის თვალს ბევრი არა შეუძლიან

რა ქვეყნის საბედნიეროდ, თუ თან არ შესწევს ყოვლად შემძლებელი გონების თვალი, რომელსაც ცაში ვარსკვლავი არ გამოეპარება და ზღვის ძირში ქვიშა, რომლისათვისაც არც იმოდენა მანძილია ქვეყნიერობაზედ, რომ არ მისწვდეს და არც სიღრმეა, რომ არ ჩაიხედოს, არც იმისთანა საიდუმლოა, რომ ჭკვისაგან შესაწყნარებელი მიზეზი მაინც არ მოუპოვოს ასე თუ ისე.

მართალია, მიწისძვრას დიდი უბედურობა მოსდევს ხოლმე. ჩვენი აწ წარმავალი საუკუნე, როგორც წინა საუკუნენიც, არაერთხელ ყოფილა მოწმად, რომ ძვრას მიწა გაურღვევია და თან ჩაუტანია ქალაქები და სოფლები, მაგრამ აქ ღვთის წყრომა არაფერს შუაშია. ყოვლად მოწყალე ღმერთი თვის დანაბადს ქვეყანას თვითვე არ დააქცევს. ღმერთი ქრისტიანობისა შურისმაძიებელი ღმერთი არ არის; იგი კაცთმოყვარეა და ამის დასამტკიცებლად ძე თვისი საყვარელი გამოგზავნა ქვეყნად ქვეყნის სახსნელად და მან ძემან ღვთისაგან განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია სისხლი თვისი მისატყვევლად ცოდვათა.

თუნდ რომ მიწისძვრა ღვთის წყრომად ვიგულისხმოთ და არა ბუნებურ მოვლენად, როგორც ნიაღვარის მოვარდნა, სეტყვა, მენი და სხვა ამისთანა, მაინც რა წამალია უქმობა, რომელიც ზემოხსენებულ სოფლებს სასოფლო განაჩენით დაუდგენიათ? უქმობაა დედა ყოველის ბოროტისაო, განა იმავე ღმერთმა არ ბძანა? მაშ ღვთის წყალობის მოსაპოვებლად რა სახსარია იგი ღონე, რომელიც ყოველის ბოროტის დედად აგრე სამართლიანად წოდებულია? ღმერთს მშრომელი, გამრჯელი კაცი უყვარს, იმიტომ, რომ მისგანვე არის ნაბძანები: “ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენით”. მცონარეობა, უქმად ყოფნა სძულს ღმერთსა, იმიტომ, რომ ბოროტისა და ცოდვისათვის ხელგამომავალი და მოცლილი მარტო მცონარე და უქმი კაცია. იესო ქრისტემ თვისის იგავით მცონარეობას

ანდერძი აუგო და თვისი სამართლიანი მსჯავრი დასდო. ვის არ ახსოვს იგი იგავი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბატონმა მონას ტალანტი მისცა სასარგებლოდ და იმის მაგიერ რომ ასარგებლოს, მონამ აიღო და მიწაში ჩაჰფალა, არ დამეკარგოსო. ვის არ ახსოვს როგორ განჰკითხა იესო ქრისტემ ამისთანა მცონარე?

ამიტომაც მეტისმეტ შეცდომად მიგვაჩნია კვათაწილები და ლანჩუთელებისაგან კვირაში ერთი დღის უქმად დადება. ეგ უმიზეზო უქმობა რისხევას და არა მოწყალებას მოიპოვებს იმისაგან, ვინც შრომა და გარჯა პატივსადებ მოქმედებად გვიანდერძა. ღმერთს უქმობით ვერაფერს აამებს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ კეთილი საქმე, რომელიც წარმოსდგება ხოლმე პატიოსნებისა, ნამუსისა, გულმართლად ცხოვრებისა და კაცთმოყვარეობისაგან. ყველა ეს მაცხოვარნი გრძნობანი შვილნი არიან მარტო ჭეშმარიტის სწავლად-განათლებისა. ამიტომაც უფრო მართლად გამოსადეგი იქნებოდა, უფრო საამური ღვთისა და კაცისათვის, რომ კვათაწილებმა და ლანჩუთელებმა ის ერთი დღე კვირაში უქმად არ ატარონ, არამედ ისაქმონ და იმ ერთის დღის ნამოქმედარი ჭირნახული შესწირონ თვისი შვილების სწავლად-განათლების საქმეს და ამ შესაწირავით საკუთარი სკოლა გამართონ, როცა ამისათვის საჭირო ფული მოუგროვდებათ.

გაზეთი „ივერია“, 1887წ., №140,10 ივლისი, გვ. 1-2

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად

* * *